პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი 28 ივლისი 1937 წ. № 171 (4972)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ვისაც სურს მშვიდობიანობა და ვინც ეძებს საქმიან ურთიერთობას ჩვენთან, ჩვენ მას ყოველთვის მხარს დავუჭერთ. ხოლო მათ, ვინც ცდილობს თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას, გამანადგურებელ პასუხს გავცემთ, რომ შემდეგში მათ დავუკარგოთ ხალისი შემოსჩრან თავისი ღორული დინგი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში...

ი. სტალინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირები

საბჭოთა ხალხის ცხოვრება, მის მიერ განვლილი ისტორიული გზა გმირული ბრძოლაა და გმირული გამარჯვება.

გმირებს გმირი ხალხი წარმოშობს, გმირული ეპოქა ქმნის. გმირულია დიადი სტალინური ეპოქა,—გმირულ მოქმედებათა და ამბებით გაჟღენთილია მისი შინაარსი, კიდით-კიდემდე.

არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ მოსჩანან გმირთა სახეები, რომლებიც ოდნავ შეესიტყვებიან საბჭოთა ქვეყნის გმირებს.

ქვეყანა, სადაც დანერგილია ხალხის, სამშობლოს, თავისი გენიოსი ბელადის განუსაზღვრელი სიყვარული, შეუპოვარი ბრძოლის ტრადიციები, თავისუფალია ადამიანი და იგი „გაისმის ამაყად", მოსპობილია შრომის ექსპლოატაცია, ცხოვრება ლაღია და სამური, „სადაც ასე თავისუფლად სუნთქავს" კაცი, გმირების ლაბორატორიაა, გმირთა ქვეყანაა, მტრებისთვის მიუვალია, დაულეველი, უძლეველი.

კომუნიზმის დიადი იდეით განსჭვალულია საბჭოთა ქვეყანა — სოციალიზმის სამშობლო. ეს იდეა ამოძრავებს საბჭოთა ხალხს, ანათებს მისი სახელოვანი ბრძოლისა და შემოქმედების გზას. ეს იდეა გადაქცეულია მატერიალურ ძალად, რადგან იგი მოდებულია მასებს.

საბჭოთა ხალხის გმირები კულტურის, პროგრესის, ისტორიული წინსვლის სახელოვანი რაინდები არიან. არა პირადი ინტერესი, ოქრო და განდიდება ამოძრავებს მათ, აქცევს დევგმირად. ხალხის, სამშობლოს, თავისუფლების სიყვარული, სოციალიზმისათვის თავდადება, მტრების ზოოლოგიური სიძულვილი და მათი საბოლოოდ განადგურების დაუშრეტელი წყურვილი, განუზომელი სურვილი — აი საბჭოთა გმირის „მამოძრავებელი ძალები".

ჩკალოვი, ბაიდუკოვი, ბელიაკოვი —მამაცთა ეს სახელოვანი სამეული, საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილები ანსახიერებენ გმირობას, მიზნისათვის შეუპოვარ ბრძოლას, პროგრესისა და კულტურისათვის თავდადებას, სოციალიზმის სამშობლოსა და მისი გენიოსი მესაჭის—დიდი სტალინის განუსაზღვრელ სიყვარულს.

საბჭოთა ხალხსაც უყვარს თავისი გმირები, ხალხი აფასებს მათ, მშობლიურად ზრუნავს თავის მამაც შვილებზე, მათი სახელებით ამაყობს.

გმირი ხომ გმირობის გარეშე არ არსებობს! კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი გმირობაა ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობა-დამორჩილება. საბჭოთა ხალხის სამმა დევგმირმა პირველად გაკაფა საჰაერო გზა მოსკოვ-ამერიკას შორის ჩრდილოეთის პოლუსზე გავლით და ბუნებასთან ადამიანის ბრძოლის ჭაღარა მატიანეში ჩასწერა უბრწყინვალესი ფურცლები. ისინი მოსკოვ-ამერიკის პირდაპირი ტრასის პიონერები არიან.

საბჭოთა გმირების გამარჯვება მთელი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებაა. ის სოციალიზმის ტექნიკის, მეცნიერების, ადამიანების ძლევამოსილობის მძლავრი დემონსტრაციაა მთელი კაცობრიობის წინაშე.

გაივლის ცოტა ხანი და საბჭოთა საჰაერო ხომალდები რეგულიარულ რეისზე გავლენ მოსკოვ-ამერიკის მიმართულებით, საბჭოთა პოლუსზე გავლით, ათეული ათასი კილომეტრი ძირდაუშვებლად.

აი, სოციალიზმის ძალა, საბჭოთა ქვეყნის უძლეველობა, ნამდვილი გმირობა და რაინდობა!

უდიდესი აღტაცებით, სიხარულით შეეგება საბჭოთა ხალხი თავისი გამარჯვებული გმირების სახელოვან დაბრუნებას. ეს აღტაცება, სიხარული, ეს მშობლიური სითბო და გულმხურვალება აპოხიერებს ნიადაგს, რომელზედაც გმირები აღმოცენდებიან მომავალშიაც, კვლავაც და კვლავაც.

და თუ დაჰკრა თავისი სამშობლოს, სისხლით მოპოვებული თავისუფლების, ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დიად მონაპოვართა იარაღით დაცვის ჟამმა, ხალხთა ბრძენი ბელადის, მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინის დაძახებისთანავე რკინის კოჰორტად დაირაზმება მთელი საბჭოთა ხალხი, ჩკალოვები, ბაიდუკოვები, ბელიაკოვები, გრომოვები, იუმაშევები, დანილინები ლომივით შეებმებიან მტრებს და, ფოლადის რაზმებად ქცეულნი, მოწინააღმდეგეს მისივე ტერიტორიაზე გაანადგურებენ პროლეტარული რევოლუციის ცეცხლითა და მახვილით.

საკუთარი გამოცდილებით საკუთარ ზურგზე იგრძნობენ მტრები საბჭოთა ხალხის, გმირი ხალხის ძალასა და უძლეველობას.

აი აუცილებელი დასკვნა, რომელიც ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის გმირობიდან თავისთავად გამომდინარეობს.

გმირები—ეს ბოლშევიკური, შედგარი, შეუპოვარი ბრძოლის სინონიმია. იგი ბრწყინვალე, სახელოვანი გამარჯვების სინონიმია ამავე დროს. საბჭოთა ხალხის ფოლადისებური ნებისყოფა, ურყევი მიზანდასახულობა, ისტორიული პროგრესისა და განუსაზღვრელი წინსვლისადმი მისწრაფება, ბრძოლა და გამარჯვება—აი რა არის ამ სიტყვით გამოთქმული.

დეე ძრწოდენ ხალხის მტრები, ფაშისტ-ტროცკისტები, ბუხარინელები,—ეს ჯაშუშ-გარეწრები! იმ ხალხის მახვილს, რომელსაც გმირთა მკლავები აელვარებენ, ვერსად წაუვლენ, ვერ გაექცევიან: საბოლოოდ განადგურდებიან, გაცამტვერდებიან!

დიდება ჩვენს გმირებს, დიდი სტალინის მშობლიური ფრთებქვეშ გამოზრდილებს, საბჭოთა ხალხის სიყვარულით გარშემოსილებს!

საბჭოთა ქვეყნის გმირები მოსკოვში

გმირების შეხვედრა ბელორუსიის ვაგზალზე

ერთ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც შჩელკოვოს აეროდრომის ფართო მინდვრიდან აფრინდა ჩკალოვის, ბაიდუკოვის, ბელიაკოვის სახელოვანი საჰაერო ხომალდი. თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა ვაჟკაცური ხელი, მიფრინავდა არქტიკის ყინულოვან სივრცეებზე, ჩრდილოეთის პოლუსზე, არღვევდა ციკლონებს, ძლევდა ნისლსა და კანადის ქედებს, მიდიოდა წყნარ ოკეანეზე... მამაცი მფრინავები მიფრინავდნენ წინ, ამოძრავებულნი ბოლშევიკური ნებისყოფით, შეუპოვრობით, სტალინის მიერ აღფრთოვანებულნი, საბჭოთა სამშობლოს მზრუნველობითა და ყურადღებით გამთბარნი. სამმა გმირმა ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა კაცობრიობის ისტორიაში—პირველად დააკავშირეს ახალი საჰაერო ტრანს არქტიკული ტრასით ორი მატერიკი.

მოსკოვში — მრავალმილიონიანი ქვეყნის გულში—ისინი ბრუნდებოდნენ მსოფლიო დიდებით დაგვირგვინებულნი. უკვე ნეგორელოეში მათ ელოდებოდა აღფრთოვანებული საზეიმო შეხვედრა სახელოვან მესაზღვრეებთან. გზად დიდ ქალაქისკენ უშიშართა სამეულს მხიარულად ესალმებოდა ახლომახლო ადგილების მოსახლეობა. პატარები და დიდები, მოხუცები და ქალები გამოდიოდნენ რკინიგზის სადგურებზე და სიყვარულისა და მისალმების სიტყვებით მიმართავდნენ გმირებს.

მთელი ჩვენი დიადი სამშობლო მხურვალედ მიესალმებოდა თავის სახელოვან, მამაც და ერთგულ შვილებს.

ისინი გუშინ ჩამოვიდნენ მოსკოვში.

ათი ათასობით მოსკოველნი გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში: მისი მთავარი მაგისტრალი—გორკის ქუჩა—მორთულია წითელი ალმებით, ტრანსპორანტებით, ბელადებისა და საბჭოთა კავშირის გმირთა პორტრეტებით. ფანჯრებში ცოცხალ ყვავილთა უზარმაზარი თაიგულებია.

მატარებელი, რომლითაც დედაქალაქში ბრუნდებოდნენ საბჭოთა კავშირის გმირები, ეს-ეს არის გამოვიდა მოჟაისკიდან, ხოლო ვაგზლის სადგური და ახლო-მახლო ქუჩები უკვე გაჭედილია. თავი მოიყარეს მოსკოვის მრავალრიცხოვანი ქარხნებისა და ფაბრიკების მუშათა დელეგაციებმა. უამრავი ხალხი ჩამწკრივდა ტროტუარების გასწვრივ.

ბელორუსიის ვაგზალი მორთულია მწვანეულობით, ყვავილებით, ყველგან დროშებია. ვაგზალზე შეიკრიბნენ მამაც მფრინავთა ოჯახის წევრები, მეგობრები. მათ ხელში უჭირავთ ყვავილების თაიგულები. აქვე არიან ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებიც აშენებდნენ და ამზადებდნენ გადასაფრენად წითელფრთიან ფრინველ „ანტ-25"-ს: პროფესორი ტუპოლევი, „ამ-34" მოტორის კონსტრუქტორი მიკულინი, გადაფრენის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ჩეკალოვი, მთავარი ინჟინერი სტომანი, 1-ლი რანგის სამხედრო ექიმები როზენბლიუმი და სხვები.

გმირების შესახვედრად ბაქანზე მოდიან ამხ. რუხიმოვიჩი, ალქსნისი, ხრუშჩოვი, ლიტვინოვი, ბულგანინი, ხალეპსკი, ბუბნოვი, სტეცკი, ტალი, იაროსლავსკი, საბჭოთა კავშირის გმირები შმიდტი, სპირინი, ბაბუშკინი, ალექსეევი, სლეპნიოვი, შევცლიოვი, სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი როსინსკი და სხვ.

შორიდან გამოჩნდება მატარებელი. ორთქლმავალი მორთულია ალისფერი ფართო ტილოთი. 16 საათსა და 13 წუთზე იგი ბაქანთან ჩერდება. ორთქლმავლის ჯიხურიდან იხედება მოღიმარე მემანქანე და ხელით აჩვენებს მატარებლის უკანასკნელ ვაგონებზე. ყველანი იქით მიემართებიან. გუგუნებს „ინტერნაციონალი". გაისმის მხურვალე მისალმებანი. ვაგონის კარებში პირველი გამოჩნდება ბელიაკოვი, მას შემდეგ—ბაიდუკოვი და ჩკალოვი. ისინი ჩამოდიან ვაგონის საფეხურებზე; მათ იმ წამსვე გულში იკრავენ ნათესავები. ჩკალოვი ეხვევა თავის პატარა შვილს იგორს. მფრინავს მხურვალედ კოცნის „რუსეთის ავიაციის პაპა" როსინსკი.

მხურვალე შეხვედრით აღელვებულ, გულაჩუყებულ გმირებს ერთი მეორეზე გულში იკრავენ. ჩკალოვი ცდილობს რაღაცა სთქვას, მაგრამ ვერ ახერხებს. დამხდურნი თან გაიტაცებენ მას და იგი, უმწეოდ იხედება აქეთ-იქით და ემორჩილება აღტაცების, მისალმების, მეგობრული ხელისჩამორთმევის, კოცნის ამ ქარიშხალს. გმირებს მიართმევენ ყვავილთა თაიგულებს.

ყველანი გამოდიან ვაგზლის მოედანზე. ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი ადიან ტრიბუნაზე. ყოველმხრიდან ისმის მგზნებარე მისალმების შეძახილები, გრიალებს ძლიერი „ვაშა". ხალხი სიამაყის გრძნობით მიესალმება თავის სახელოვან შვილებს, სტალინის მიერ გამოზრდილებს, რომლებმაც მოახდინეს დიადი გადაფრენა, რომლებმაც მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყვეს საბჭოთა საჰაერო ფლოტის ძლიერება.

გრანდიოზულ ტრანსარქტიკულ გადაფრენაში მათ აღფრთოვანებდა და დიდი სტალინი—ხალხთა ბელადის მამობრივი მზრუნველობა ადამიანზე, სოციალიზმის მშენებელზე, რამაც უზრუნველჰყო მძიმე შორეული რეისის წარმატება. სტალინის სახე ათბობდა გმირ მფრინავებს, ამხნევებდა და ახარებდა მათ, როდესაც მათ გზაზე დაბრკოლებანი აღიმართებოდა. იცოდნენ, რომ მათ თვალყურს ადევნებდა მთელი ჩვენი ქვეყანა, სტალინი და მფრინავებს გულდაგულ მიჰყავდათ მძლავრი ფრინველი მიზნისკენ, გამარჯვებისკენ, ირჩენდნენ ჩა განსაკუთრებულ სიმამაცეს, გაბედულებასა და გმირობას.

საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ხრუშჩოვი ხსნის მიტინგს. სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით პირველი სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რუხიმოვიჩს. იგი მიესალმება „ანტ-25"-ის ლეგენდარულ ეკიპაჟს—საბჭოთა კავშირის გმირებს ჩკალოვს, ბაიდუკოვსა და ბელიაკოვს.

— მათ, სტალინის მიერ გამოზრდილებმა, უმაგალითო გმირობით, უდიდესი სიმამაცით, ულრმესი ცოდნით შეასრულეს პარტიისა და მთავრობის დავალება და ბრწყინვალედ დაამთავრეს ძირდაუშვებელი გადაფრენა მარშრუტით მოსკოვ-ჩრდილოეთის პოლუსი — ჩრდილო ამერიკა.

საბჭოთა ხალხის გმირების მიერ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება არის ბოლშევიკური ორგანიზებულობის—სოციალიზმის უმაგალითო გამარჯვებათა საფუძვლის შედეგი.

მიკროფონთან მიდის ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი. ათი ათასობით ადამიანები მიესალმებიან „ანტ-25"-ის სახელოვან მეთაურს, მქუხარე „ვაშათი" და მქუხარე ტაშით. შეხვედრით აღელვებული ჩკალოვი ერთხანს სდუმს, და ელის როდის მისწყდება ტაშისცემა. შემდეგ იგი მშვიდი, მოკვეთილი ხმით ამბობს:

— სალამი, მშობლიურო ქვეყანავ, სალამი მშობლიურო მოსკოვო! ჩვენ დიდად ბედნიერი ვართ და ვამაყობთ, რომ ჩვენ პირველებს მოგვიხდა გაგვეკვლია ახალი სტალინური მარშრუტი, რომელიც გადიოდა ჩრდილოეთის პოლუსზე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვალერი პავლეს-ძე თავის მოკლე სიტყვას ამთავრებს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი მხურვალე სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე სიტყვებით. პასუხად კვლავ გრიალებს მქუხარე ტაში. ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს". მოედნის ყოველი მხრიდან ისმის მისალმების შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად, გმირ მფრინავთა პატივსაცემად.

მრავალმილიონიანი საბჭოთა კავშირი მიესალმება თავის სახელოვან მფრინავებს, რკინის ნებისყოფისა და სტალინური სიმტკიცის ადამიანებს. იმ ქვეყანას, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს, არავითარი მტრის არ ეშინია. გმირ მფრინავების ზურგს უკან დგანან მილიონები, დგას მთელი საბჭოთა ხალხი. თავისი პარტიისადმი, თავისი მთავრობისადმი უსაზღვროდ ერთგული, იგი გაანადგურებს ყველას, ვინც შეეცდება და ხელს აღმართავს მისი მონაპოვრების წინააღმდეგ, იგი საბჭოთა მიწაწყლის პირისაგან აღგვის ტროცკისტულ-ბუხარინული და სხვა ფაშისტური ბანდების ყველა ნარჩენს, ყოველგვარ ჯაშუშებს, მავნებლებსა და დივერსანტებს.

მიტინგი დამთავრებულია. მფრინავები, რომლებსაც მქუხარე ტაშით აცილებენ, სხდებიან ყვავილებით მორთულ ავტომანქანებში და მიემართებიან კრემლისკენ. გორკის ქუჩასა და შესახვევებში, მაიაკოვსკისა და პუშკინის მოედნებზე—ყველგან გმირებს ელოდებიან მხიარული და აღტაცებული მოსკოველები. ასი ათასობით ადამიანები მიესალმებიან ჰაერის სივრცეთა დამპყრობებს.

აღფრთოვანებულ შეძახილებში იძირება ავტომანქანების საყვირების, ორკესტრების ხმა.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!—ისმის აღფრთოვანებული შეძახილები.

მანქანებმა გაიარეს წითელი მოედანი და უკვე თვალს მოეფარნენ, მაგრამ კიდევ დიდხანს ისმის მხურვალე სიყვარულისა და აღფრთოვანების სიტყვები საბჭოთა დევგმირების მიმართ, რომლებიც ჩამოვიდნენ შინ, მშობლიურ მოსკოვში.

„ანტ-25"-ის ეკიპაჟის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ვ. ჩკალოვი თავის ცოლშვილით (სურათი გადაღებულია 1936 წელს)

ფოტო — „სოიუზფოტოსი"

კრემლში მიღება

თვითმფრინავ „ანტ-25"-ის ეკიპაჟის— საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. ჩკალოვის, ბაიდუკოვის და ბელიაკოვისა

გუშინ კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირის გმირების ამხანაგების ჩკალოვის, ბაიდუკოვის და ბელიაკოვის მიღება, რომელთაც ბრწყინვალედ განახორციელეს ისტორიაში პირველი შესანიშნავი ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვი-ჩრდილოეთის პოლუსი—ჩრდილო ამერიკის მარშრუტით. დარბაზობა მოაწყეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ.

დარბაზობას დაესწრნენ საავიაციო მრეწველობის მუშები და მუშაკები, ამხანაგების ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის ნათესავები და მეგობრები, თავდაცვის მრეწველობის და სხვა სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების მუშაკები, რომელნიც უშუალოდ მუშაობდნენ გადაფრენისათვის მომსახურების გასაწევად, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის წევრები. დაესწრნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ეგოროვი, საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. ხრუშჩოვი, სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელები, გამოჩენილი კონსტრუქტორები, ქარხნების დირექტორები, საბჭოთა კავშირის გმირები და სხვ.

ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის წევრების გამოჩენას დარბაზში შეხვდნენ მქუხარე ოვაციით, აღტაცებული შეძახილებით: „ვაშა ამხანაგ სტალინს!", „გაუმარჯოს ჩვენს დიდ, მშობლიურ სტალინს".

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ჩუბარი, ეჟოვი, რუხიმოვიჩი, შმიდტი, ალქსნისი, ტუპოლევი, ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი.

დარბაზობის დროს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსმა საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ო. ი. შმიდტმა წარმოსთქვა სადღეგრძელო თვითმფრინავ „ანტ-25"-ის ეკიპაჟის—ამხანაგების ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის პატივსაცემად.

ყველა დამსწრე აღტაცებული მქუხარე ოვაციით შეეგება ამხ. ო. ი. შმიდტის მიერ შემდეგ წარმოთქმულ სადღეგრძელოს ჩრდილოეთის პოლუსით ისტორიაში უმაგალითო გადაფრენის გენიალური ორგანიზატორისა და შთამაგონებლის პატივსაცემად, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან. უზარმაზარ დარბაზში გრგვინავს მქუხარე ოვაცია და შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!", „ვაშა ამხანაგ სტალინს!", „გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!".

შემდეგი სადღეგრძელო ამხ. ო. ი. შმიდტმა წარმოსთქვა ამხანაგ სტალინის უახლოესი მეგობრის და თანამებრძოლის — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის პატივსაცემად. დარბაზი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს.

შემდეგ ამხ. შმიდტი წარმოსთქვამს სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის სადღეგრძელოს. დარბაზში ჰქუხს ოვაცია.

დარბაზში კვლავ ოვაცია გრგვინავს, როდესაც ამხ. შმიდტი იღებს სასმისს თავდაცვის სახელოვანი სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად, რკინიგზის ტრანსპორტის რკინის სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის პატივსაცემად, რევოლუციის ერთგული დარაჯის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ნ. ი. ეჟოვის პატივსაცემად, თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. მ. ლ. რუხიმოვიჩის და საავიაციო, თავდაცვის მრეწველობის მუშაკთა პატივსაცემად.

ამხანაგი ვოროშილოვი იღებს სასმისს საბჭოთა კავშირის გმირების, მგზნებარე პატრიოტების — ამხანაგების ჩკალოვის, ბაიდუკოვის, ბელიაკოვის პატივსაცემად, დიადი საბჭოთა ხალხის ერთგული შვილების, ისტორიაში ჩრდილოეთის პოლუსის პირველი მეზამთრეების — ამხანაგების პაპანინის, კრენკელის, ფედოროვის და შირშოვის პატივსაცემად, სტალინის მიერ გამოზრდილ მამაცთა — ამხანაგების გრომოვის, იუმაშევის, დანილინის პატივსაცემად, რომელთაც მოახდინეს უმაგალითო გადაფრენა სტალინური ტრასით მოსკოვიდან ჩრდილოეთის პოლუსზე გავლით ჩრდილო ამერიკაში და გადაასწრეს შორი ფრენის მსოფლიო რეკორდს, საბჭოთა პოლარელების კოლექტივისა და მათი ხელმძღვანელის, ყინულეთის კომისრის ამხანაგ ო. ი. შმიდტის პატივსაცემად. ამხანაგ ვოროშილოვის დასკვნითი სიტყვები მიეძღვნა ხალხთა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს. მთელი დარბაზი აღტაცებით მიესალმება ხალხთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს—ამხანაგ სტალინს.

დარბაზობაზე მყოფთათვის გაიმართა კონცერტი, მოწყობილი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის მიერ.

ბათუმის ორგანიზაციის პარტაქტივის კრება

ბათუმი, 27 ივლისი (ტელეფონით ჩვენი საკ. კორ.). 25 ივლისს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის ორგანიზაციის პარტაქტივის კრება, რომელსაც დაესწრო 600 კაცი.

კრებაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პარტიის აჭარის ოლქკომის მდივანი ამხ. კოჩლამაზაშვილი. მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა 26 კაცი.

მოხსენების გამო ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია.

პარტაქტივის კრებამ მქუხარე ოვაცია გამართა ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის პატივსაცემად. კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხანაგ ლ. ბერიას.

აქტივი ერთსულოვნად იწონებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკრებულოს დადგენილებას ხალხის მტრების ბ. მდივნის, ტოროშელიძის, ყურულაშვილის და სხვ. დახვრეტის შესახებ და მოითხოვს, რათა პროლეტარული მართლმსაჯულების მთელი სისასტიკით დაისაჯონ ხალხის მტრები ზ. ლორთქიფანიძე, მ. სურმანიძე, დ. ქიქავა, ი. სურგულაძე, პ. ცხოიძე, ა. გეგენავა, პ. მეგრელიშვილი და სხვ.

◇ ◇ ◇

დარბაზობა ჰელსინკში სსრ კავშირის ჟურნალისტთა პატივსაცემად

ჰელსინკი, 26 ივლისი (საქდესი). დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ საბჭოთა ჟურნალისტების პატივსაცემად გამართა დარბაზობა. დარბაზობას დაესწრნენ საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში ამხ. ასმუსი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მოხელეები და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პასუხისმგებელი მუშაკები.

დღეს 5 საათზე ვაჭრობის მინისტრმა ვოინისმა თავისი სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და მრეწველობის სამინისტროს სახელით საბჭოთა ჟურნალისტების პატივსაცემად გამართა დარბაზობა. დარბაზობას დაესწრნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი კაიანდერი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მოხელეები და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

◇ ◇ ◇

ანტვერპენის საერთაშორისო სასპორტო ოლიმპიადაზე

მოსკოვი, 26 ივლისი (საქდესი). 26 ივლისს, საღამოთი, ანტვერპენს (ბელგია), სადაც 25 ივლისს გაიხსნა მუშათა საერთაშორისო სასპორტო ოლიმპიადა, გაემგზავრა საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენების დელეგაცია. დელეგაციაში შედიან სხვადასხვა სახის სპორტის უძლიერესი წარმომადგენლები. ანტვერპენში შეჯიბრებაზე გამოსვლების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები ჩავლენ პარიზში. ევროპის სტადიონებზე, რინგებზე, სატანვარჯიშო დარბაზებში გამოვლენ სსრ კავშირში ფართოდ ცნობილი ორდენოსნები ძმები ზნამენსკები, ორდენოსნები ძმები სტაროსტინები, ორდენოსანი ბოქსიორი მიხაილოვი, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს რეკორდსმენი ლატანში — ორდენოსანი პოპოვი და მრავალი სხვა.

სპორტსმენებს ვაგზალზე გააცილეს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის წარმომადგენლებმა, პრესის წარმომადგენლებმა, ნათესავებმა და ნაცნობებმა.

მიტინგი ბელორუსიის ვაგზალთან

სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. მ. ლ. რუხიმოვიჩის სიტყვა

ამხანაგებო!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით მივესალმები „ანტ-25"-ის ლეგენდარულ ეკიპაჟს—საბჭოთა კავშირის გმირებს ამხ. ჩკალოვს, ბაიდუკოვს, ბელიაკოვს. (ტაში).

მე გადავცემ მათ—ჩვენი სამშობლოს ერთგულ, სახელოვან შვილებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ბოლშევიკურ სალამს. (ტაში).

მათ—სტალინის მიერ გამოზრდილებმა უმაგალითო გმირობით, უდიდესი სიმამაცით, ულრმესი ცოდნით ღირსეულად შეასრულეს პარტიისა და მთავრობის დავალება: მათ ბრწყინვალედ მოახდინეს ძირდაუშვებელი გადაფრენა მარშრუტით—მოსკოვ-ჩრდილოეთის პოლუსი—ჩრდილო ამერიკა. მათ მოახდინეს ისტორიაში უმაგალითო გმირობა. მათ განახორციელეს ის, რაზედაც ფიქრსაც კი ვერ ბედავდნენ იქითა მხარეზე ყველაზე უფრო გაბედული ადამიანები. მათ განახორციელეს კაცობრიობის საუკუნოებრივი ოცნება. მათ გადააჭარბეს კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი სიმამაცისა და გამბედაობის ყველა ნიმუშს კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლაში.

მათში—ამხ. ჩკალოვსა, ბაიდუკოვსა და ბელიაკოვში, ჩვენი ქვეყნის მშრომელები ხედავენ საბჭოთა ხალხის საუცხოო თვისებათა შესანიშნავი გამოხატულების ცოცხალ მაგალითს, თვისებათა, რომელთაც ამხანაგი სტალინი, ჩვენი პარტია ნერგავენ (ტაში).

მათში—საბჭოთა კავშირის დიდსახელოვან გმირებში, რომლებთან შეხვედრის სასიხარულო წუთებსაც ჩვენ ამჟამად განვიცდით,—განსახიერებულია ჩვენი მძლავრი, დიადი ხალხი; ბოლშევიკური პარტიის უდრეკი ნებისყოფა კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში; იმის ბრწყინვალე მაგალითი, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის, დიად საგმირო საქმეთა და გამარჯვებათა ბრძენი ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის—ამხანაგ სტალინის მითითებანი (ტაში).

საბჭოთა ხალხის გმირების მიერ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება არის ბოლშევიკური ორგანიზებულობის, სოციალიზმის უმაგალითო გამარჯვებათა საფუძვლის, შედეგი.

ამხ. ჩკალოვის, ბაიდუკოვის, ბელიაკოვის გადაფრენამ, რაც უმაგალითოა ავიაციის ისტორიაში, ისე როგორც პოლარულმა ექსპედიციამ ჩრდილოეთის პოლუსზე, ყინულეთის ჩვენი შესანიშნავი კომისრის ამხ. შმიდტის ხელმძღვანელობით და ამხ. გრომოვის განსაცვიფრებელმა გადაფრენამ—აჩვენეს ჩვენი ქვეყნის ძლიერება, ჩვენი საავიაციო მრეწველობის უდიდესი წარმატებანი, საბჭოთა მფრინავების უბადლო ოსტატობა, საბჭოთა ადამიანების სიმამაცე და გამბედაობა. (ტაში).

ჩვენი ქვეყნის ორგანიზებულმა ძლიერებამ, გამრავლებულმა თავისი საბჭოთა სამშობლოს ღირსეულ შვილთა გმირობაზე,—აი რამ უზრუნველჰყო ეს თავისი გრანდიოზულობითა და სიდიადით შეუდარებელი გამარჯვება.

არქტიკის დამორჩილების, მიუვალობის პოლუსის დაპყრობის, საუკუნეთა განმავლობაში ამ მიუვალი „სამყაროს მწვერვალზე" ტრანსარქტიკულ გადაფრენათა განხორციელების დიადი ისტორიული ამოცანა გადასჭრეს ბოლშევიკებმა, საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

მხოლოდ პროლეტარულმა სახელმწიფომ, მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანამ, სადაც გაიზარდა, გამოიჭედა და განუწყვეტლივ იჭედება პარტიის მიერ ახალი ადამიანი,—შესძლო ამ გრანდიოზული ამოცანის გადაჭრა.

კაცობრიობის ისტორიაში ასეთი უდიდესი გამარჯვება იმის შედეგიც არის, რომ საბჭოთა ქვეყნის ადამიანები ძლიერი არიან თავისი დიადი სამშობლოს, თავისი მძლავრი სახელმწიფოს მხარდაჭერით, ამხანაგ სტალინის მხარდაჭერით, მისი დიადი ზრუნვით ადამიანზე (ტაში).

დღემდე სიკვდილისა და სამარადისო მყუდროების სამეფოს განსაცვიფრებელმა დაპყრობამ, მყუდროებისა, რაც გულდაჯერებულად დაარღვია პირველად სამყაროს შექმნის დროიდან სოციალიზმის ქვეყნის სამმა გმირმა შვილმა—ახალი სოციალისტური საზოგადოების მიერ წარგზავნილებმა,—გვიჩვენა, თუ რა შეუძლია ჩვენს დიად გამარჯვებულ ხალხს.

საბჭოების ქვეყანაში თვითეულ საბჭოთა პატრიოტს რკინის კანონად გაუხდია მუდამ, ყველაფერში იყოს თავისი სამშობლოს ღირსეული შვილი, შესძლოს თავისი მოვალეობის თავდადებულად შესრულება თავისი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისა, ძლიერებისა და დიდებისათვის.

ამხ. ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის მიერ მოპოვებული შესანიშნავი გამარჯვება გვიჩვენებს, თუ რა განსაცვიფრებელი სასწაულების მოხდენა შეუძლიათ ჩვენი სამშობლოს, პარტიის საქმის, საბჭოთა ხელისუფლებისადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანებს. მათ მიერ მოპოვებულმა გამარჯვებამ შესძრა მთელი უცხოეთი, გამოიწვია მთელი მოწინავე კაცობრიობის უსაზღვრო აღფრთოვანება, მომაკვდავი კლასებისა და ფაშიზმის სიძულვილი და მასთან ერთად განსაკუთრებული შური.

გერმანია-იაპონიის ფაშისტები ცდილობდნენ თავისი საზიზღარი,

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. გრომოვის, იუმაშევის და დანილინის მიღება რუზველტის მიერ

ვაშინგტონი, 26 ივლისი (საქ-დესი). დღეს პრეზიდენტმა რუზველტმა გულთბილად მიიღო საბჭოთა მფრინავები ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი. მფრინავებს თეთრ სახლში (პრეზიდენტის რეზიდენცია) ახლდა სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. უმანსკი. სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. გრომოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მფრინავები დიდად ნასიამოვნები დარჩნენ რუზველტის მიერ გულთბილად და მეგობრულად მიღების გამო. რუზველტმა დიდი ინტერესი გამოიჩინა გადაფრენისადმი და მთელი რიგი კითხვები მისცა მფრინავებს გაფრენისა და თვითმფრინავ „ანტ-25"-ის შესახებ. მიღების წინ მფრინავებმა ამხ. უმანსკის თანხლებით ინახულეს სახელმწიფო მდივანი (საგარეო საქმეთა მინისტრი) ჰელლი, სამხედრო მინისტრი ვუდრინგი და ვაჭრობის მინისტრი როუპერი. მფრინავებს კომერციული ავიაციის ბიუროში ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მთელ რიგ თანამშრომლებთან, რომლებთანაც განიხილეს ავიაციისა და მეტეოროლოგიის საკითხები. დღეს ნაშუადღევს საბჭოთა მფრინავები ინახულებენ ამერიკის არმიის შტაბის უფროსს გენერალ კრეიგს და სამხედრო სამინისტროს დანარჩენ მოხელეებს.

ამხ. რუხიმოვიჩის სიტყვა
(დასასრული)

ნამგზის შერჩენებული ლაქიების, ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშების, დივერსანტების, ამ გახრწნილ ობერ - ბანდიტების საშუალებით შეეფერხებინათ სოციალიზმის მშენებლობა, კვლავ იმპერიალიზმის მონობის უღელი დაედგათ დიადი საბჭოთა ხალხისათვის. მაგრამ ეს არასოდეს არ იქნება! ფაშიზმის ეს ცდები გაცამტვერებულია, როგორც ისინი გაცამტვერებულ იქნენ წარსულში და როგორც კიდევ უფრო გამანადგურებლად იქნება გაცამტვერებული მომავალში საბჭოთა კავშირის ხალხების მიერ.

მხურვალე და უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, სიყვარული თავისი პარტიისადმი, თავისი მთავრობისადმი, ჩვენი მშობლიური მუშურ-გლეხური წითელი არმიისადმი, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი,—აი რა ამჭიდროებს საბჭოთა ადამიანებს მძლავრ კოლექტივად, მრისხანე ურყევ ძალად.

საბჭოთა ხალხი, თავისი სამშობლოს აყვავებისათვის, კიდევ უფრო დაუნდობლად იბრძოლებს მტრების წინააღმდეგ, სადაც და როგორადაც უნდა იმალებოდნენ ისინი. იგი პირწმინდად აღგვის და მოსპობს დივერსანტთა, ფაშიზმის ჯაშუშთა ყველა ბუდეს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიან ნაყოფიერ შრომას მიჰყავართ კომუნიზმის დიადი მწვერვალებისაკენ. ჩვენ მომავალშიც ავიღებთ ჩვენ ხელში მეცნიერების, ტექნიკის მწვერვალებს, დავიპყრობთ სტიქიას ადამიანის საკეთილდღეოდ.

ჩვენ მომავალშიც ვიმუშავებთ ისე, რომ კიდევ უფრო მეტად ვიამაყოთ საბჭოთა თვითმფრინავებით, საბჭოთა მფრინავებით, ჩვენი ქვეყნის ამ ჭეშმარიტად ამაყი შევარდნებით— და ყოველივე იმით, რასაც გვაძლევს და მომავალშიც მოგვცემს ჩვენი საუცხოო თავდაცვის მრეწველობა. (ტაში).

და თუ მტრები შეუშლიან ჩვენს მშვიდობიან შრომას, საბჭოთა კავშირის გმირთა საქმეებით აღზრდილი მრავალი ათასები და მილიონები, ამხ. **ჩკალოვის, ბაიდუკოვის** და **ბელიაკოვის** მსგავსად, შეასრულებენ საგმირო საქმეებს. მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგება, როგორც ერთი კაცი, მთელი ჩვენი ქვეყანა. და საბჭოთა კავშირის ხალხებმა იციან: მტერი მოსპობილი იქნება. (ტაში).

კიდევ უფრო მეტად, დაუღალავად, დღითი-დღე განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ძლიერება!

კიდევ უფრო განვამტკიცოთ და გავამრავლოთ კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო საქმეებით საბჭოთა კავშირის დიდება!

დიდება მათ, ჩვენს უშიშარ გმირებს ამხ. **ჩკალოვს, ბაიდუკოვს, ბელიაკოვს!** (ტაში).

დიდება ლენინ-სტალინის პარტიას, რომელსაც მშრომელთა მრავალმილიონი მასები გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — მშობლიურ, დიდ **სტალინს!** (ტაში).

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ვ. პ. ჩკალოვის სიტყვა

სალამი, მშობლიურო ქვეყანავ! სალამი მშობლიურო მოსკოვო! ჩვენ დიდად ბედნიერი ვართ და ვამაყობთ იმით, რომ ჩვენ პირველებს მოგვიხდა გაგვეკვლია ახალი სტალინური მარშრუტი, რომელიც გადიოდა ჩრდილოეთის პოლუსზე ამერიკის შეერთებულ შტატებში (ტაში).

ჩვენ ვამაყობთ იმ შეგნებით, რომ პარტიამ, მთავრობამ და ამხანაგმა სტალინმა ჩვენ მოგვანდეს მეორე სტალინური მარშრუტი.

არავითარ დაბრკოლებას, არავითარ ყინვას, არავითარ ქარბუქს და თვითმფრინავის შემოყინვას არ შეეძლო ჩვენი შეჩერება. სტალინის საგზურით სტალინურ მარშრუტზე არც შეჩერება და არც გადახვევა სადმე არ შეიძლება. და ჩვენი ეკიპაჟი არც არის ამას ჩვეული, ეს მისთვის უცხოა.

აქ, ქალაქ მოსკოვის მშრომელთა წინაშე, ჩვენ პირობას ვიძლევით შემდეგშიც გავიკვლიოთ სტალინური გზები უცნობი, გამოუკვლეველი მარშრუტებით. (ტაში).

ჩვენ ვიცით, დარწმუნებული ვართ შემდგომ გამარჯვებებში მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ხელმძღვანელობას გვიწევს ჩვენი დიდი ამხანაგი **სტალინი.**

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს, ჩვენს მასწავლებელსა და მამას ამხანაგ **სტალინს!** (მქუხარე ტაში).

საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესი

მოსკოვი, 27 ივლისი (საქდესი). 26 ივლისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესდგა სხდომა საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის ხუთი სექციისა, მათ შორის გეოფიზიკური სექციის და სექციის „აზიის ტექტონიკური პრობლემები" და „ტექტონიკურ პროცესთა, მაგმატიკურ წარმონაქმნთა და მარნეულ საბადოთა ურთიერთი კავშირი".

მოხსენებით თემაზე „საბჭოთა აზიის გეოტექტონიკა" გამოვიდა პროფესორი ტეტიაევი. შეაჯამა რა იმ მუშაობის შედეგები, რომელიც გასწიეს საბჭოთა მკვლევარებმა საბჭოთა კავშირის აზიური ნაწილის გეოლოგიური აღნაგობის შესასწავლად, მომხსენებელმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მისი მეცნიერული ათვისების მეტად სწრაფ ზრდას საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ციმბირსა და შუა-აზიაში უდიდესი სამრეწველო ცენტრების წარმოშობამ, მეფის რუსეთის ჩამორჩენილ კოლონიათა გადაქცევამ აყვავებულ ნაციონალურ რესპუბლიკებად, დიდი სამეცნიერო ექსპედიციების მრავალი წლის მუშაობამ — ყოველივე ამან მეცნიერებისათვის, პირველ რიგში კი გეოლოგიისათვის, გადაშალა საბჭოთა აზიის თვალუწვდენელი სივრცეები.

ტექტონიკის პრობლემებს მიუძღვნა თავისი მოხსენება ბელგიელმა მეცნიერმა პოლ ფურმარიემ.

აკადემიკოს ფურმარიეს მოხსენებას დიდი თეორიული ხასიათი ჰქონდა და მან ცხოველი ინტერესი გამოიწვია აუდიტორიაში.

განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეს აკადემიკოს ვ. ი. ვერნადსკის (სსრ კავშირი) მოხსენება, მიძღვნილი რადიოგეოლოგიისა და მისი მნიშვნელობისადმი თანამედროვე გეოლოგიისათვის.

მომხსენებელმა ის აზრი გამოსთქვა, რომ აუცილებელია შემოღებულ იქნას გეოლოგიური დროის გაზომვის ერთიანი საერთაშორისო ერთეული, მაგალითად, დეკამირიადა, რომელიც უდრის 100.000 წელიწადს.

◇

უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის ოლქკომის ბიუროს დადგენილება
გაზეთ „პროლეტარსკაია პრავდის" შესახებ

კიევი, 26 ივლისი (საქდესი). უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის ოლქკომის ბიურომ განიხილა გაზეთ „პროლეტარსკაია პრავდის" რედაქციის მუშაობის საკითხი.

ოლქკომის ბიურომ სწორად მიიჩნია 24 ივლისის „პრავდის" მითითებანი სტატიაში „ნუ შეეჩერდებით შუაგზაზე". „პრავდა" აღნიშნავდა ნაკლოვანებებსა და შეცდომებს გაზეთ „პროლეტარსკაია პრავდის" და პარტიის ოლქკომის მუშაობაში, ოლქკომმა, მოხსნა რა სამუშაოდან გაზეთის რედაქტორი კუსილმანი და პარტიული განყოფილების გამგე ლ. მ. ტერეშჩენკო, არ მიიღო შემდგომი ზომები გაზეთის რედაქციის აპარატის შესამოწმებლად და განსამტკიცებლად.

ოლქკომის ბიურომ დაადგინა მოხსნას სამუშაოდან „პროლეტარსკაია პრავდის" რედაქტორის მოვალეობის ამსრულებელი შტეინგრობი, რედაქციის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე გელშტეინი და გამომცემლობა „პროლეტარსკაია პრავდის" გამგე ტიტოვი. მათი პარტიულ პასუხისგებაში მიცემის საკითხის განხილვა დაევალა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

ოლქკომის ბიურომ გაზეთ „პროლეტარსკაია პრავდის" რედაქტორად დაამტკიცა ამხ. ი. გ. ბარლანიცკი, რომელიც წინათ მუშაობდა კიევის ოლქის მთელი რიგი რაიონული გაზეთების რედაქტორად.

რედაქციის აპარატის განსამტკიცებლად ოლქკომის ბიურომ გაზეთში მიავლინა მუშაკთა ჯგუფი, რომელნიც წინათ მუშაობდნენ ოლქის რაიონული გაზეთების და კიევის საქარხნო მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორებად.

ოლქკომის ბიურომ დაავალა „პროლეტარსკაია პრავდის" რედაქციას გამოასწოროს გაზეთში დაშვებული ნაკლოვანებანი და შეცდომები, გაშალოს გაზეთის ფურცლებზე ბოლშევიკური თვითკრიტიკა, დაუზოგავად ამხილოს პარტიის და ხალხის მტრები.

◇ ◇ ◇

გემ „სერგეი კიროვის" რეისი

მოსკოვი, 26 ივლისი (საქდესი). ამ დღეებში საზღვარგარეთ მგზავრობიდან დაბრუნდა გემი „სერგეი კიროვი".

საქ. დეპ. სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში გემის კაპიტანმა ამხ. უსპენსკიმ განაცხადა შემდეგი:

24 დეკემბერს „სერგეი კიროვი" გაემგზავრა საიგონში (ინდო-ჩინეთი), საიდანაც ბრინჯის ტვირთით გაემგზავრა ნანტში (საფრანგეთი). გიბრალტარში გავლისას, გემს თავს დაესხა ესპანეთის მეამბოხეთა ორი შეიარაღებული გემი, რომლებმაც იარაღის ძალით აიძულეს იგი მობრუნებულიყო სეუტაში. სეუტაში ოფიცერმა დაკონკილი და გაძვალტყავებული ჯარისკაცების თანხლებით მოახდინა გემის უკანონო გაჩხრეკა.

ინგლისში გემი ნახშირით დაიტვირთა და უკან გამობრუნდა. გიბრალტარის ხელმეორედ გავლისას გემს კვლავ დაესხნენ ფაშისტები: მეამბოხეთა თვითმფრინავი ორ საათს თავზე დასტრიალებდა გემს და შემდეგ ყუმბარები დაუშინა მას. მფრინავთა მოქმედება განსაკუთრებით თავხედური შეიქმნა, როდესაც ახლოს გაიარა გერმანიის გემმა. „სერგეი კიროვის" ეკიპაჟმა შესანიშნავი თავდაჭერილობა გამოიჩინა ყუმბარების დაშენის დროს.

მდგომარეობა ესპანეთში
ესპანეთის ფრონტებზე
(საქ. დეპ. სააგენტოს მიერ პარიზიდან მიღებული ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რომელიც გამოქვეყნდა 25 ივლისს საღამოს, სოფელ ბრუნეტის რაიონში (ცენტრალური ფრონტის დასავლეთ უბანზე) მეტად გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა. ავიაციისა და არტილერიის დახმარებით მეამბოხეებმა გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ბრუნეტე. რესპუბლიკელები გამაგრდენ ახალ პოზიციებზე. ესპანის სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, მეამბოხეებმა ერთდროულად ორი იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე: ერთი—სამხრეთიდან, მეორე—სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. მეამბოხეთა შეტევას ხელს უწყობდა მასირებული დარტყმა ავიაციისა, რომელმაც დიდძალი ყუმბარა გადმოჰყარა რესპუბლიკელთა პოზიციებზე. როდესაც მეამბოხეთა ავიაცია იძულებული იყო მიმალულიყო, ვინაიდან მას რესპუბლიკელთა თვითმფრინავები დაედევნენ, ბრძოლაში ჩაება მეამბოხეთა არტილერია, რომელიც უმთავრესად 155-მილიმეტრიანი ყალიბის გერმანული ქვემეხებისაგან შესდგებოდა. რესპუბლიკელთა პოზიციებს ბრუნეტის რაიონში 10 ათასზე მეტი ყუმბარა ესროლეს. როგორც ესპანის სააგენტოს კორესპონდენტი აცხადებს, ბრუნეტე აღარ არსებობს, მხოლოდ ნანგრევებს ასდის კვამლი.

თავდაცვის სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ რესპუბლიკელები ინარჩუნებდნენ თავის პოზიციებს, მიუხედავად მეამბოხეთა ძლიერი ბომბარდირებისა. ამ რაიონში მოქმედმა ჯარმა კავშირი გააბა მახლობლად მყოფ ნაწილებთან. ნაშუადღევს მეამბოხეთა მიწოლის შედეგად რესპუბლიკელებმა უკან დაიხიეს ბრუნეტის ჩრდილოეთით. რესპუბლიკელთა ჯარი გმირულ წინააღმდეგობას უწევს მეამბოხეებს. მეამბოხეებმა ბრუნეტის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში თავი მოუყარეს მნიშვნელოვან ძალებს და დიდძალ სამხედრო საჭურველს.

ტოლედოსა და ტალავერის შუა მდებარე რაიონში თოფებისა და ტყვიამფრქვევების ინტენსიური სროლა სწარმოებდა. ტალავერის მიდამოებში რესპუბლიკელთა პოზიციებს ძლიერად დაუშინა ყუმბარები მტრის ავიაციამ.

არაგონიის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 25 ივლისის ცნობაში ნათქვამია, რომ მდინარე ებროს მახლობლად განლაგებული რესპუბლიკური არტილერია ყუმბარებს უშენდა ვილაფრანკის კოშკში მყოფ მეამბოხეებს და აიძულა ისინი შეეჩერებინათ საფორტიფიკაციო სამუშაოები.

ტერუელის რაიონში მეამბოხეებმა გააძლიერეს თავისი იერიშები.

ოპერაციებში მონაწილეობას ღებულობდა ფაშისტთა 20 თვითმფრინავი. რესპუბლიკელთა ჯარმა თავისი პოზიციები შეინარჩუნა თითქმის მთელ რაიონში. 25 ივლისს რესპუბლიკელებმა ამ რაიონში შესცვალეს თავისი ფრონტის ხაზი და გამაგრდნენ უფრო მტკიცე პოზიციებზე.

○

ესპანეთის თავდაცვის სამინისტრომ გუშინ საღამოს გამოაქვეყნა ნაკრები ოპერატიული ცნობები ავიაციის მოქმედებაზე 25 ივლისს:

ცენტრალურ ფრონტზე დილის 7 საათსა და 30 წუთზე რესპუბლიკელთა ავიაცია ყუმბარებს უშენდა თავმოყრილ მეამბოხეთა ჯარებს ბრუნეტის სამხრეთით, აგრეთვე ვილავისიოზა დე ოდონის ჩრდილო-დასავლეთით და ლას როსასის სამხრეთით.

15 საათსა და 40 წუთზე რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლებმა ბრძოლა გაუმართეს მეამბოხეთა ავიაგამანადგურებლებს. ბრძოლის დროს რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს „ფიატის" მარკის 3 თვითმფრინავი და მეამბოხეთა ორი ჩქარი თვითმფრინავი. რესპუბლიკელთა ავიაციამ დაჰკარგა ერთი თვითმფრინავი.

არაგონიის ფრონტზე 13 საათსა და 40 წუთზე რესპუბლიკელთა ავიაცია ყუმბარებს უშენდა მეამბოხეთა სანგრებს კაუდეტის ჩრდილო-დასავლეთით და შეჯგუფებულ მეამბოხეებს ტერუელის რაიონში. ყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა სამხედრო ობიექტებს ალბარასინსა და გეა დე ალბარასინში და მტრის პოზიციებს კუევას დე ლოს ტორიხოსის სამხრეთით. ალბარასინის სამხრეთით რესპუბლიკელთა თვითმფრინავები ტყვიამფრქვევებს უშენდნენ მეამბოხეთა ჯარს. იმავდროულად ყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა საბარგო ავტომობილების კოლონებს ალბარასინის მახლობლად მდებარე გზაზე.

15 საათსა და 40 წუთზე რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა განსაკუთრებული ძლიერებით დაუშინეს ყუმბარები ლა ფუენტე დე სან ესტებანის ვაგზალს, აგრეთვე სალამანკიდან მიმავალ გზას.

○

ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბარსელონიდან იუწყება, რომ ბარსელონაზე მეამბოხეთა თვითმფრინავების გუშინდელი თავდასხმის შედეგად მოკლულია 65 კაცი და დაჭრილი 150.

აჯანყება ესპანეთის მაროკოში

ლონდონი, 26 ივლისი (საქდესი). როგორც „დეილი ჰერალდის" კორესპონდენტი ტანჟერიდან იუწყება, ესპანეთის მაროკოში აჯანყდა ერთერთი ტომი, როდესაც ესპანეთის მეამბოხეთა ოფიცრები ცდილობდნენ მოეხდინათ მათი მობილიზაცია ესპანეთში გასაგზავნად. აჯანყება ჩააქრეს.

პირველ აგვისტოს მოწვეული იქნება ესპანეთის კორტესები

პარიზი, 26 ივლისი (საქდესი). ვალენსიიდან მიღებული ცნობით, ესპანეთის კორტესები (პარლამენტი) მოწვეული იქნება აგვისტოს პირველ რიცხვებში.

ხიხონში გამოდის კომუნისტური გაზეთი „ასტურია"

ვალენსია, 25 ივლისი (საქდესი). ხიხონში გამოვიდა კომუნისტური გაზეთი „ასტურიას" პირველი ნომერი.

ტროცკისტთა დაპატიმრება

ვენა, 26 ივლისი (საქდესი). შვეიცარიის გაზეთები იუწყებიან, რომ ბარსელონაში ამასწინათ დააპატიმრეს 2 შვეიცარიელი ტროცკისტი— პაულ ტალმანი და მისი მეუღლე, რომლებსაც აბრალებენ შპიონაჟს. დაპატიმრებულნი გაგზავნილ იქნენ ვალენსიაში. შვეიცარიის ელჩმა ვალენსიაში აღძრა შუამდგომლობა მათი განთავისუფლების შესახებ, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა.

შვეიცარიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო „ბერნერ ტაგვახტი" ადასტურებს, რომ დაპატიმრებული ტროცკისტები იყვნენ გერმანიის გესტაპოს სამსახურში.

◇

სკოლის მდგომარეობა ფაშისტურ გერმანიაში

პრაღა, 26 ივლისი (საქდესი). გაზეთი „პრაგერ მიტაგი" იუწყება სკოლების რიცხვის შემცირებას გერმანიაში. პრუსიაში 1937 წლის დამდეგისათვის იყო 32.720 სახალხო სკოლა. მაშინ როდესაც ჰიტლერის მიერ ხელისუფლების სათავეში ჩადგომამდე იყო 33.497 სახალხო სკოლა. ძლიერ შემცირდა მასწავლებელთა რიცხვი: 1931 წელს გერმანიის სახალხო სკოლებში მუშაობდა 115 ათასი მასწავლებელი, 1936 წელს კი—მხოლოდ 103 ათასი.

გერმანიის სკოლებში სასწავლო დროის მეტი ნაწილი, სწერს გაზეთი, უნდება მოწაფეთა სამხედრო წრთვნას.

◇

გასტროლებზე პარიზში

მოსკოვი, 26 ივლისი (საქდესი). 7-დან 25 აგვისტომდე პარიზში გაიმართება სსრ კავშირის გორკის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიური თეატრის სპექტაკლები. თეატრის კოლექტივი მოსკოვიდან 25 ივნისს გაემგზავრა ლენინგრადში, საიდანაც არტისტები გემით წავლენ საფრანგეთში. თავისი პირველი გასტროლისათვის საფრანგეთის დედაქალაქში მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი გაემგზავრა შემსრულებელთა ძირითადი შემადგენლობით, საკუთარი დეკორაციებით, ბუტაფორიითა და კოსტუმებით.

კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის კონფერენციაზე

პარიზი, 26 ივლისი (საქდესი). ესპანის სააგენტოს ბარსელონიდან გადმოცემული ცნობით, კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის კონფერენციაზე იხილავდნენ ხუანა კომორერას საანგარიშო მოხსენებას. გამოსული დელეგატები იწონებდნენ მოხსენების დებულებებს. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ კატალონიაში ყველგან კმაყოფილებით შეხვდნენ იმ ზომებს, რომლებიც მთავრობამ მიიღო ტროცკისტ-ფაშისტი ელემენტების წინააღმდეგ.

ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდა ხიორლა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კატალონიის გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ მისცა მაგალითი კომუნისტური და სოციალისტური პარტიების გაერთიანებისა — მაგალითი, რომელსაც უნდა მიჰბაძონ მთელი ისპანეთის კომუნისტებმა და სოციალისტებმა.

როგორ მიმდინარეობს თავდაცვის სესხზე ხელისმოწერა
საუბარი საქ. ფინანსთა სახალხო კომისარ ამხ. ს. ხოშტარიასთან

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ს. ხოშტარიამ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საქართველოში თავდაცვის განმტკიცების სესხის რეალიზაციის შესახებ განაცხადა:

— საქართველოს მშრომელნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის გამოშვებას.

სესხზე ხელისმოწერაში მშრომელთა ერთსულოვანმა ენტუზიაზმმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა მშრომელთა თავდადება და სიყვარული თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი და ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

სესხზე ხელისმოწერის წარმატებამ კიდევ ზედმეტად დაადასტურა ღრმა სიძულვილი ხალხის მტრებისადმი — სოციალისტურ სამშობლოს მოღალატეებისადმი — ტროცკისტ - ბუხარინელების, გერმანია-იაპონიის ფაშიზმის აგენტებისადმი.

26 ივლისისათვის თავდაცვის განმტკიცების სესხზე ხელისმოწერამ 85.514.000 მანეთს მიაღწია, ნაცვლად შარშანდელ იმავე რიცხვისათვის—77.081.000 მანეთისა და 1936 წლის 21 ოქტომბერს სესხზე ხელისმოწერის მაქსიმალური თანხის— 81.203.000 მანეთისა.

თავდაცვის განმტკიცების სესხი წარმატებით ვრცელდება როგორც მუშებსა და მოსამსახურეთა შორის, ისე სოფლად კოლმეურნეებს შორის.

საქართველოს 353.088 მუშა-მოსამსახურემ ხელი მოაწერა 65.816.000 მანეთის სესხზე და 407.166 კოლმეურნემ — 13.092.000 მანეთისაზე. მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ის რაოდენობა, რომელთაც ხელი მოაწერეს სესხზე შარშანდელთან შედარებით გაცილებით მაღლა სდგას. (1936 წელს სესხზე ხელი მოაწერა სულ 326.892 მუშა-მოსამსახურემ 60.570.000 მანეთის რაოდენობით და 373.944 კოლმეურნემ 11.991.000 მანეთის რაოდენობით).

განსაკუთრებით წარმატებით მიდის სესხზე ხელისმოწერა ქალაქ თბილისში. თბილისის 145.000 მშრომელმა თავდაცვის განმტკიცების სესხზე ხელი მოაწერა 32.197.000 მანეთის რაოდენობით, რითაც 4.483.000 მანეთით გადააჭარბა 1936 წლის ხელისმოწერის თანხას.

კარგად მიმდინარეობს სესხის გავრცელება აჭარის მშრომელთა შორის. აქ ხელისმოწერის თანხამ 6.226.000 მანეთს მიაღწია, ნაცვლად შარშანდელი 5.584.000 მანეთისა, ასევე ითქმის მახარაძის რაიონზე, სადაც გასული წლის 1.289.000 მანეთის ნაცვლად ხელის მოწერის თანხა 1.841.000 მანეთს შეადგენს; გურჯაანის რაიონში რეალიზებულია 1.160.000 მანეთის სესხი, ნაცვლად შარშანდელი 975.000 მანეთისა; ქიათურისაში — 2.457.000 მანეთისა, გასული წლის 2.012.000 მანეთის ნაცვლად; ქუთაისის რაიონში სესხზე ხელისმოწერის თანხამ 4.123.000 მანეთს მიაღწია, შარშანდელი 3.804.000 მანეთის ნაცვლად და სხვ.

მაგრამ ამავე დროს არის რაიონები (სამტრედია, სიღნაღი, თელავი, ლაგოდეხი, ორჯონიკიძე და სხვ.), რომლებმაც არათუ მიაღწიეს ხელისმოწერის შარშანდელ თანხას, არამედ, პირიქით, რეალიზაციაში ძალიან ჩამორჩნენ, საფინანსო ორგანოების, შემნახველი სალაროებისა და დამხმარე კომისიების სუსტი მუშაობის შედეგად.

ამრიგად, ცალკეულ საწარმოთა, დაწესებულებათა და სასოფლო საბჭოების გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ადგილებზე ზოგიერთმა ძირეულმა ხელისშემწყობმა კომისიამ და პროფორგანიზაციამ ვერ შექმნა ყველა საჭირო პირობა სესხზე ხელისმოწერაში მშრომელთა მთლიანად ჩაბმისათვის.

მაგალითად, ლენრაიონში (ქ. თბილისი) 89 ორგანიზაციის შემოწმებამ გამოააშკარავა, რომ იქ ხელისმოწერაში არ არის ჩაბმული 313 კაცი, კიროვის რაიონის 56 ორგანიზაციაში სესხზე ხელმოუწერელი აღმოჩნდა 149 კაცი.

ახალქალაქის რაიონის მტს-ის ტრაქტორისტები 20 ივლისამდე არ იყვნენ ჩაბმული სესხზე ხელმოწერაში; საგარეჯოს, ყარაიას, გორის, ბორჩალოს და დუშეთის რაიონების ცალკეულ სოფლებში დიდი დაგვიანებით გაშალეს მასობრივი მუშაობა ხელისმოწერის გარშემო.

მთელი ფინანსიური აპარატის, შემნახველი სალაროებისა და სასოფლო საბჭოების, აგრეთვე პირველ რიგში დამხმარე კომისიების და პროფორგანოების ძირითად ამოცანას შეადგენს—მთლიანად შემოწმონ ყველა მშრომელის სესხზე ხელისმოწერაში ჩაბმა ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, სასოფლო საბჭოში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში; შეამოწმონ ხელისმოწერის სწორად გაფორმება და აღრიცხვა.

მასწავლებელთა შემადგენლობის ნაწილმა სესხზე უკვე მოაწერა ხელი, უმეტესი ნაწილი კი ხელისმოწერას არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ გააფორმებს.

სესხის წარმატებით გავრცელების უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ხელისმოწერის ანგარიშში სახსრების თავის დროზე და მთლიანად შეგროვება.

საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაცია, ხელისმომწერთა ვალდებულებების საფუძველზე მოვალეა თავის დროზე გადარიცხოს სესხის შენატანები შემნახველი სალაროების ანგარიშზე.

ფრიად პასუხსაგები ამოცანა ეკისრებათ სასოფლო საბჭოებს, რომლებმაც თავიანთ რწმუნებულების საშუალებით უნდა უზრუნველჰყონ კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეებისაგან სესხის თანხების შეგროვება და მათი დროულად, მთლიანად შემნახველი სალაროებისათვის გადაცემა.

საფინანსო ორგანოებს, შემნახველ სალაროებსა და ძირეულ დამხმარე კომისიებს ევალებათ თვალყური ადევნონ სესხის შეგროვილი თანხების თავის დროზე შემოტანას.

იაპონია-ჩინეთის კონფლიქტი
ლანფანის სადგურის ოკუპაცია იაპონელების მიერ

შანხაი, 26 ივლისი (საქდესი). ჩრდილო ჩინეთიდან მიღებულ დეპეშაში იუწყებიან, რომ დღეს, დილის 5 საათსა და 30 წუთზე, იაპონელთა 5 აეროპლანი ყუმბარებს უშენდა ჩინელთა ყაზარმებს ლანფანის სადგურზე. დილის 8 საათსა და 15 წუთზე იაპონელთა ჯარმა განაახლა იერიში ლანფანზე. მატარებლების მიმოსვლა და სატელეფონო კავშირი ბეიპინსა და ტიანძინს შუა შეწყვეტილია.

სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ იაპონელებმა მოახდინეს ლანფანის სადგურის ოკუპაცია. ბრძოლა ლანფანთან ყველაზე უფრო სერიოზულ ბრძოლას წარმოადგენს ინციდენტის დაწყებიდან.

ბრძოლა ლანფანთან

ლონდონი, 26 ივლისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება; ჩინელთა წრეებში აღნიშნავენ, რომ იაპონიის ჯარებმა ტყვიამფრქვევების სროლა ასტეხეს მას შემდეგ, რაც ჩინეთის ჯარებმა მატარებლიდან ჩამოსვლის ნება არ დართეს მათ ლანფანის სადგურზე. ბრძოლა გაგრძელდა რამდენიმე საათს. ტიანძინიდან ლანფანის სადგურში ჩავიდნენ იაპონიის დამხმარე ნაწილები 1.300 კაცის რაოდენობით, რის შემდეგ იაპონიის ჯარებმა აიძულეს ჩინელები უკან დაეხეულიყვნენ ხუანცუნისკენ (ლანფანის სადგურის ჩრდილო-დასავლეთით).

ტოკიო, 26 ივლისი (საქდესი). როგორც მოსალოდნელი იყო, დროებითი სიწყნარე ჩრდილო ჩინეთში დღეს შეიცვალა დიდი სამხედრო მოქმედებით, რომელიც ამჯერად ხდება ლანფანის სადგურის მიდამოებში; ეს სადგური ითვლება ბეიპინ-ტიანძინის რაიონის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტად. დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, ლანფანში იმყოფება ჩინეთის მე-29 არმიის თოფისწამლის უდიდესი საწყობი.

ლანფანთან ბრძოლაში ორივე მხრით მონაწილეობას იღებს არტილერია. იაპონიის სამხედრო წრეებში ფიქრობენ, რომ, „რამდენადაც ჩინეთის სარდლობამ დღეს ძლიერი დამხმარე ნაწილები გაგზავნა ლანფანში, დიდი მასშტაბის სამხედრო მოქმედების დაწყება გარდაუვალია".

ტოკიო, 26 ივლისი (საქდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, სამხედრო მოქმედება ლანფანის რაიონში გრძელდებოდა დღეს დილას. იაპონიის ავიაციამ 11 საათსა და 20 წუთზე კვლავ დაუშინა ყუმბარები ლანფანს.

ხებეი - ჩახარის ხელისუფალთა ცდებმა შეეჩერებინათ სამხედრო მოქმედება ლანფანის რაიონში ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოიტანა, ვინაიდან იაპონიის განსაკუთრებული მისიის (ბეიპინში) უფროსი მაცუი ჩინეთის მხარის ყველა წინადადებას უცვლელად უპასუხებს მოთხოვნებით, რომ ჩინეთის ჯარებმა დაუყოვნებლივ მოახდინონ მათ მიერ დაკავებული პოზიციების ევაკუაცია.

იაპონიის გარნიზონის სარდალმა ჩრდილო ჩინეთში გენერალ-ლეიტენანტმა კაცუკიმ დღეს ფორმალურად აცნობა ხებეი-ჩახარის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარეს სუნ ჩჟე-იუანს, რომ იგი დაჟინებით მოითხოვს „მე-29 არმიის სრულ გაყვანას".

იაპონელ აგრესორთა ულტიმატუმი

ტოკიო, 26 ივლისი (საქდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, ჩრდილო ჩინეთში მყოფ იაპონელთა გარნიზონის სარდალმა გენერალ - ლეიტენანტმა კაცუკიმ ბეიპინის განსაკუთრებული მისიის უფროსის მაცუის საშუალებით დღეს ხებეი-ჩახარის პოლიტიკურ საბჭოს თავმჯდომარეს სუნ ჩჟე-უანიუს გადასცა ულტიმატუმი. კაცუკი მოითხოვს მე-37 დივიზიის ყველა ნაწილის გაყვანას ბეიპინიდან და მისი მიდამოებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება, რომ იაპონიის ჯარი მიიღებს ზომებს საკუთარი შეხედულებისამებრ. ულტიმატუმი მოითხოვს მე-37 დივიზიის ნაწილების გაყვანას ლუკოუძიაოს და ბაბაოშანის რაიონებიდან 27 ივლისს დღის 12 საათისათვის. ულტიმატუმში ნათქვამია, რომ ამ პირობების შეუსრულებლობას იაპონიის გარნიზონი ჩრდილოეთ ჩინეთში შეაფასებს როგორც „არაგულწრფელობას" ჩინეთის მხრივ, და პასუხისმგებლობა ამის შედეგებისათვის დაეკისრება მე-29 არმიას.

მდგომარეობა ტანგუში დაძაბულია

ბეიპინი, 26 ივლისი (საქდესი). ჩინეთის ცნობებით, ტანგუს ნავსადგურში შეიქმნა დაძაბული მდგომარეობა. იაპონიის ჯარებმა, რომლებმაც ნავსადგურის ოკუპაცია მოახდინეს, აქ სამხედრო წესები შემოიღეს.

იაპონიის სამხედრო მატარებელი 25 ვაგონის შემადგენლობით გუშინ ნასადილევს ჩავიდა ტიანძინში.

იაპონიის ჯარები აფართოვებენ ოკუპირებულ რაიონებს ბეიპინის სამხრეთით. იაპონელთა მოწინავე პოზიციებზე, ულიტიანის რაიონში, გამოჩნდა ორი ტანკი.

ფინტაიში მატარებლებითა და საბარგო ავტომობილებით კვლავ ჩააქვთ დიდძალი სამხედრო საჭურველი.

იაპონიის ჯარები, მიუხედავად ჩინეთის ხელისუფალთა თხოვნისა, წინანდებურად ნებას არ იძლევიან აღდგენილ იქნეს სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი, რომელიც ბეიპინს აკავშირებს ლუკოუძიაოსა და ბაოდინთან.

ჩაის ფოთლის დამზადება
„საქჩაის" 25 ივლისის ცნობებით

რაიონები	მოკრეფილია სულ წლის დაწყებიდან ტონობით	მოკრეფილია ივლისში ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროც.
ბათუმი	566,1	147,3	54,7	54,6
ქობულეთი	2.656	826,9	50,4	50
გალი	779,4	245,4	52,7	60
ოჩამჩირე	351,7	110,1	46,5	44,4
ჩოხატაური	387,7	135,2	53,8	63,1
მახარაძე	2.935,7	959,9	42,8	46,9
ლანჩხუთი	1.272,3	415	51,8	52,9
სამტრედია	75,7	20,8	63,1	67,1
წულუკიძე	192	64,1	56,6	72,8
ქუთაისი	29	9,8	72,5	93,3
ტყიბული	119,4	35,8	66,3	73,1
ცხაკაია	338,4	113,8	57,4	71,6
გეგეჭკორი	647,6	234,2	55,4	63
ზუგდიდი	1.258,7	432,3	50,2	55,4
წალენჯიხა	334,3	134,9	38	37,3
ჩხოროწყუ	289,6	93,9	50,5	55
ხობი	94,8	27,5	55,8	59,8
სულ	12.328,4	4.006,9	50,3	52

○

მოსავლის აღება
მიწსახკომის 25 ივლისის ცნობებით

რაიონები	აღებულია ჰექტრობით	გეგმის შესრულება პროცენტობით ნათესი ფართობით	კომბაინებით აღებულია სულ ჰექტრობით	გალეწილია პროცენტობით აღებული ფართობიდან
ახალციხე	3.313	30,7	13	04
ასპინძა	954	9,8	6	0,6
ხაშური	9.299	38	2.247	24,2
გორი	6.540	30,2	1.000	15,8
კასპი	6.870	53,7	841	13,2
ბორჯომი	109	3,3	—	—
გურჯაანი	12.098	63,9	2.987	24,7
სიღნაღი	32.472	66,5	17.147	52,8
თელავი	14.081	57,5	1.923	13,7
ყვარელი	11.073	96,3	3.998	34,7
ლაგოდეხი	9.924	98,1	1.564	15,8
თბილისი	17.744	61,7	3.247	18,3
ყარაია	3.996	88,6	635	15,9
ბორჩალო	4.932	90,2	3.396	22,7
ლუქსემბურგი	7.680	70	1.580	20,5
დუშეთი	1,747	10,4	301	17,2
ალბულაღი	6.406	31,3	1,508	23,5
საგარეჯო	…649	33,8	1061	18,8
სამტრედია	800	95,5	—	—
ჭიათურა	120	2,1	—	—
ონი	75	1,7	—	—
ამბროლაური	285	8,2	—	—
ცაგერი	580	17,4	—	—
აფხაზეთის ასსრ	138	30,5	—	—
აჭარის ასსრ	12	13,2	—	—
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	980	3,6	67	6,8
სულ	167.886	37,6	43.516	26,3

○

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ მოსავლის აღების ტემპები აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ყველაზე მეტად ჩამორჩნენ ხაშურის, გორის, საგარეჯოს და ალბულაღის რაიონები.

შარშან 25 ივლისისათვის მოსავალი აღებული იყო 204.364 ჰექტარზე ანუ 49 პროცენტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ თემაზე

პარტიულ წრეებს სუსტად ხელმძღვანელობენ

(„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

სოხუმის რაიონში საკ.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებიდან ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ დღემდე საკმაო პრაქტიკული დასკვნები ვერ გამოიტანეს. პარტიული განათლების ქსელში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. პარტიული წრეები თავის ანაბარად არიან მიტოვებულნი. მათს მუშაობას არავინ ამოწმებს. წრეების მთელი ბედიღბალი მარტო პროპაგანდისტებზეა მინდობილი.

რაიონული კომიტეტის კულტპროპმა არ იცის, რომელ წრეში როგორ სწავლობენ. წებელდის პროპაგანდისტი ამხ. პოპოვი ჩივის, რომ ერთი წლის განმავლობაში მისი წრის მეცადინეობას რაიკომიდან არავინ დასწრებია. „რაიკომმა არ იცის, როგორ ვასწავლი, არც მე ვიცი, რამდენად კარგად ვასწავლი, რადგან დღემდე ჩემთვის არც ერთი მითითება და დარიგება არავის მოუციაო". არც სხვა პროპაგანდისტებს უწევენ პრაქტიკულ დახმარებას და ხელმძღვანელობას. ამის შედეგად კი ბევრი პროპგანდისტი, იმის ნაცვლად, რომ ყოველდღიურად სწავლობდეს და თავის ცოდნას აღრმავებდეს, გაზეთსაც არ კითხულობს სისტემატურად.

ცუდად მუშაობს და შორს, შეუფერებელ ადგილზე (გულრიპში) არის მოწყობილი პარტკაბინეტი. კაბინეტით ფაქტიურად ვერცერთი პრო პაგანდისტი ვერ სარგებლობს. პარტკაბინეტის ძველი გამგის — სირაძის დროს გაცემულია დიდძალი ლიტერატურა, რომლის დაბრუნებაზე არავინ ფიქრობს. პარტკაბინეტს არა აქვს საშუალება სისტემატურად შეიძინოს პერიოდული ლიტერატურა. მაგალითად, კაბინეტს დღემდე არ შეუძენია პარტიული განათლების ქსელისათვის ამხ. ურანოვის დიდად საჭირო ბროშურა: „უცხოეთის დაზვერვათა გადაბირებითი მუშაობის ზოგიერთი ვერაგული ხერხის შესახებ". ამის გამო პროპაგანდისტებს მინასიანს, ლევონიანს, ბერიას, ჯიჯელავას, ჯღარკავას და სხვებს ეს ბროშურა ჯერაც არ წაუკითხავთ.

პროპაგანდისტები ფაქტიურად ვერ იყენებენ ამხანაგ სტალინის წერილს საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგენლებისადმი. ამისათვის მათ საკუთარი ცოდნა არ ჰყოფნით, რაიონული კომიტეტი კი ვერაფრით ეხმარებათ, მიუხედავად იმისა, რომ პროპაგანდისტები თეორიული კონფერენციების მოწვევას მოითხოვენ. პროპაგანდისტმა პოპოვმა სოხუმის რაიკომის მდივანს ამხ. დელაძერს პირდაპირ უსაყვედურა:

— ჩვენ საკუთარი ცოდნა არ გვყოფნის, თქვენ კი გვთხოვთ, რომ პოლიტსკოლებში მსმენელებს საშინაო და საგარეო მდგომარეობის ყველა საკითხზე ყოველმხრივ სწორი ახსნა-განმარტება მივცეთო.

პარტიულ წრეებში სუსტია შეთვისების ხარისხი. მსმენელებმა არ იციან, რა არის სტახანოვური მოძრაობა და ვის შეიძლება ეწოდოს სტახანოველი. მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ამბარჯიანი კოლმეურნეობის წევრებს საათს უნიშნავს და ვინც მიცემულ დავალებას დანიშნულ დროზე ასრულებს, უკვე სტახანოველს უწოდებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მუშკუდიანს კი ჰგონია, რომ სტახანოველი მხოლოდ ის არის, ვინც გეგმას 200 პროცენტით ასრულებს. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ იმ პოლიტსკოლებში, სადაც ამხ. ამბარჯიანი და მუშკუდიანი სწავლობენ, სტახანოვური მოძრაობის შინაარსი და მნიშვნელობა კარგად არ დაუმუშავებიათ და არ შეუსწავლიათ.

თითქმის მთლად მოწყვეტილი არიან პოლიტსწავლებას ერთეული კომუნისტები. მაგალითად, პარტკანდიდატი ამხ. ბერია უკვე 3 თვეა არ ესწრება პოლიტმეცადინეობას. ასევე სისტემატურად არ დადიან პოლიტსკოლებში მაისარია, გობეჩია და სხვები.

პარტიული სწავლების დარგში სხვა ნაკლოვანებათა (წრეების დაკომპლექტება არადამაკმაყოფილებელია, სემინარს რაიკომი აქამდე ყველა ტიპის წრეების პროპაგანდისტებისათვის ერთად ატარებდა და სხვ.) აღნიშვნაც შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს.

ბოლშევიზმის დაუფლება სერიოზული საქმეა. პარტიული სკოლებისა და წრეების ასეთი ხელმძღვანელობით კი კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური შეიარაღება შეუძლებელი გახდება. პარტიის სოხუმის რაიკომმა ბოლშევიზმის დაუფლების საკითხებს უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება.

ორი რაიონი, ორი მაგალითი

(ცხაკაია, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

აბაშის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. ბ. კიზირია) დროულად მოჰკიდა ხელი ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. ჯერ კიდევ აპრილ-მაისში მან რაიონის სკოლების საჭიროებისათვის შეიძინა საჭირო საშენი მასალა (ლურსმანი, ხე-ტყე, მინა), დროულად გაანაწილა სკოლებისათვის დაშვებული კრედიტები, უზრუნველჰყო სკოლების მშენებლობა და შეკეთება ტექნიკური ხელმძღვანელობით.

სკოლებისათვის კადრები ჯერ კიდევ მაის-ივნისში შეარჩია. აბაშაში გაიხსნა სპეციალური სახელოსნო, სადაც მზადდება მხოლოდ სასკოლო ინვენტარი. აი, ასეთი წინდახედული მუშაობა-ხელმძღვანელობის შედეგია ის, რომ აბაშის რაიონი მომავალ 1937-38 სასწავლო წელს სავსებით მომზადებული შეხვდება. ზოგიერთმა სკოლამ (სუჯუნა, ონტოთი, მარანი) უკვე დაამთავრა მიმდინარე შეკეთება. აბაშის რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მთავრდება.

ასე როდია ცხაკაიას რაიონში. აქ ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის საკითხი საფრთხეშია. რაიონის ზოგიერთ სკოლას და მის მესვეურებს ჯერ არც კი მოჰგონებიათ, რომ სკოლას სჭირია შეკეთება, საჭიროა მერხები, სასკოლო კაბინეტები, სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა და სხვ. ასეთების რიცხვს ეკუთვნიან მენჯის, გეჯეთისა და ახალსოფლის სკოლები.

ცხაკაიას რაიონში ახალი 1937-38 სასწავლო წლისათვის მზადება აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. განათლების განყოფილების ხელი არ სჩანს.

უნდა გამოცოცხლდეს, განახლდეს განათლების განყოფილება, თორემ პირველ სექტემბერს ცხაკაიას რაიონის სკოლები ნორმალურ მეცადინეობას ვერ დაიწყებენ. ცხაკაიას რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა და განსახკომმა აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ.

გრ. გეგენავა.

მზადება საკ. სას.-სამ. გამოფენისათვის

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა...

(ქუთაისი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

13 ივლისს საქ. კ.პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის ბიურომ ხელმეორედ განიხილა საკავშირო სას.-სამ. გამოფენისათვის მზადების საკითხი და გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად სცნო. გამოირკვა, რომ საკავშირო სას.-სამ. გამოფენის კომიტეტის დადგენილება ზერელედ დაუმუშავებიათ კოლმეურნეობებში. არ ყოფილა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებს შორის.

ქალაქკომის ბიურომ დაამტკიცა მიწგანისა და მტს-ის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველჰყოფს გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლებას.

ქალაქკომმა სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს მიამაგრა რაიონული პასუხისმგებელი მუშაკები — პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლამ" და „ოქტომბერმა", ფარცხანაყანევის კიროვისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი ცალკეული კულტურების მიხედვით გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ქუთაისის რაიონში ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, თითქოს ყველგან წარმატებით იბრძოდნენ გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. პირიქით, ჯერ კიდევ ყველგან არა სჩანს ის მკვეთრი გარდატეხა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, რომელიც უნდა მოგვცეს გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლამ. ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაუდევრად ეპყრობიან ნათესების დამუშავებას, ყანებში სარეველა ბალახებია მოძალებული.

გაცილებით უარესი მდგომარეობაა ჩაისათვის ნიადაგის მომზადების მხრივ. 20 ივლისისათვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 47 პროცენტით (ვადა 1 აგვისტოა). გვიშტიბის კოლმეურნეობამ „ახალმა გზამ" წელს ჩაისათვის ნიადაგი უნდა მოამზადოს 15 ჰექტარზე. გაზაფხულზე მოამზადა მხოლოდ 0,4 ჰექტარი და ამის შემდეგ არაფერი გაუკეთებია. ასეთივე მდგომარეობაა კოლმეურნეობა „ბოლშევიკში". მაღლაკის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ნიადაგი უნდა მომზადდეს 35 ჰექტარზე, აქედან ტრაქტორებით 30 ჰექტ. დღემდე ნიადაგი არ გაუწმენდიათ, რომ ტრაქტორმა მუშაობა დაიწყოს.

მტს-ი სუსტად იბრძვის გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. მტს-ის მუშაკთა სიტყვასა და საქმეს შუა დიდი ზღვარია.

ჩაის დარგის უფროსი აგრონომი ამხ. კოსტავა მოწყვეტილია კოლმეურნეობებს და სტატისტიკური ცნობების შედგენით არის დატვირთული.

გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის ბრძოლამ მკვეთრი გარდატეხა უნდა მოგვცეს სასოფლო სამუშაოების ყველა დარგში, მაგრამ ეს ქუთაისის რაიონში ჯერჯერობით არა სჩანს.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან „ბრძოლა"

(წერილი საგარეჯოდან)

რაიონის მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში ჩაშლილია წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობა.

ამის მიზეზია უმთავრესად სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეთა და განათლების განყოფილების სუსტი ხელმძღვანელობა, ზოგჯერ კი—დანაშაულებრივი უმოქმედობა. აბა რას უნდა მიეწეროს ჩაილურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ი. კევლიშვილის უპასუხისმგებლო სიტყვები, რითაც მან განათლების განყოფილების ინსტრუქტორს ამხ. შ. ბერეკაშვილს მიმართა: „რა დროს წერა-კითხვის უცოდინარებია, ვინც ეს დაადგინა, მოლაყბეები არიანო".

ნინოწმინდის სასოფლო საბჭოში წერა-კითხვის 112 უცოდინარია, მათგან მეცადინეობს მხოლოდ 37 კაცი, როცა საბჭოში დასახმარებლად მივიდა განათლების განყოფილების ინსპექტორი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. პიტიურაშვილმა უკმეხად მიაძახა: „გადი მეორე ოთახში და რაც გინდა გააკეთეო", და თან დასძინა: „გამანებე თავი, თორემ მე ერთი აყბედდება ვიცი, თუ ავყბედდი, ცუდად წაგივა საქმეო".

თოხლიაურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. მჭედლიშვილმა ხელი არ შეუწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობას, არ მოაგვარა მსმენელთა დასწრების საქმე, არ აღმოუჩინა მსმენელთ ბინა და სხვ.

ასევე საგარეჯოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ი. დურგლიშვილს რაიაღმასკომმა რამდენჯერმე გამოუტანა გაფრთხილება, მითითება, საყვედური, მაგრამ მასზე ამ ღონისძიებამ სათანადოდ ვერ გასჭრა, რის გამო მთელ რიგ უბნებსა და კოლმეურნეობებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე ჯერ კიდევ სავალალო მდგომარეობაშია. ასევე ცუდი მდგომარეობაა მანავისა და მუღანლოს სასოფლო საბჭოებში.

საქ. კ.პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომმა და რაიაღმასკომმა თუ ამთავითვე არ მიიღეს გადამჭრელი ზომები, ამ რაიონში წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში არ დამთავრდება.

დ. წერეთელი. ვ. კავთუაშვილი, შ. ჯიქია.

ამხ. ე. გ. ცოტნიაშვილი, თბილისის საბჭოს დეპუტატი, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის სტახანოველი მბურღავი, ივნისის გეგმა 256 პროცენტით შეასრულა. შეტანილია ქარხნის საპატიო დაფაზე, როგორც საუკეთესო სტახანოველი.

სურათზე: ამხ. ე. გ. ცოტნიაშვილი ბურღავს ორთქლმავლის ქვაბის დასაკავშირებელ ნაწილებს. ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ვისი დაუდევრობით გაფუჭდა 10 ტონა კომბოსტო?

(ქუთაისი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

კომბოსტოს დამზადების მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ვერ ვიტყვით, რომ წელს კომბოსტოს მოსავალი ცუდი იყოს და გეგმის (300 ტონა) შესრულება იყოს შეუძლებელი.

ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ კომბოსტოს დამზადება რაიონში დაგვიანებით დაიწყეს. დღემდე დამზადებულია 200 ტონა, ანუ გეგმის 66,6 პროც. (ვადა კი 1 აგვისტოა). ასეთი მუშაობით გეგმის ვადაზე შესრულება უზრუნველყოფილი ვერ იქნება.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა დამზადებული კომბოსტოს გადაგზავნის მხრივ. დროულად და სისტემატურად არ ხდება ვაგონების მიწოდება. მას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს. კვირაობით ჰყრია სადგურში დამზადებული კომბოსტო და ფუჭდება. ვაგონების მიუწოდებლობის გამო დღემდე გაფუჭდა 10 ტონა კომბოსტო.

ქალაქის საბჭოს დამზადების რწმუნებული ამხ. შ. ძველაია თავს იმართლებს, ვაგონების მიწოდება ჩვენზე არ არის დამოკიდებულიო. იბადება კითხვა: რა ზომებს იღებს ამხ. ძველაია მდგომარეობის გამოსასწორებლად? პასუხი ერთია — არავითარს.

ამჟამად გასაგზავნად გამზადებულია 50 ტონა ხილი, მაგრამ ვაგონების მიუწოდებლობის გამო ამასაც გაფუჭება მოელის.

ნუთუ რკინიგზა კიდევ გააჭიანურებს ვაგონების მიწოდებას? საქკონსერვტრესტმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ზემოაღნიშნულ უმსგავსოებათა აღსაკვეთად.

ეგ. გვასალია

წერილი რედაქციას

ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯება

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

განა ვინმე დაეჭვდება იმაში, რომ ლაზები ქართველი ტომისანი არიან და მათი ენა და ანბანი ქართულია!

ეს ხომ უდავო ჭეშმარიტებაა, რაზედაც უძველესი დროის უცხო ტომების მწერალთა და ქართველ სწავლულთა გარდა ევროპის უახლოესი დროის სწავლულნიც მოგვითხრობენ (მაგალითად, ორიენტალისტი დიუბუა დე მომპრე, ლუნორმანი, ლანგლუა, მასპერო და სხვ.). ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ ლაზები ქართველი ტომისა არიან და მათი ენა და ანბანი ქართულია. ამასვე ამტკიცებს ბროკჰაუზი და მისი „ენციკლოპედიური ლექსიკონი", სადაც ლაზები ქართველ ტომებად არიან აღიარებულნი.

მთელი ლაზისტანი ანუ ჭანეთი იმყოფება თურქეთის ტერიტორიაზე. მხოლოდ ბათუმიდან 18 კილომეტრის მანძილზე ზღვის პირად მდებარე სოფელ სარფის ნახევარია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ამ სოფლის დაწყებით სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს შემოიღეს პირველ ორ კლასში ლაზურ ენაზე სწავლება. ეს ძალიან კარგი საქმეა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ლაზებს თავისი, ქართული ანბანის მაგივრად დაუბეჭდეს ლათინური ანბანით დაწერილი სახელმძღვანელო კიჭურ არქაბულის კილოკავისა, ვინმე ისქენდერ ჭიტაშის მიერ შედგენილი, რაც ლაზურ ენაზე სწავლას დიდად აძნელებს და ხელოვნურად აბრკოლებს.

ამ „სახელმძღვანელოში" უამრავი ასოები, როგორიცაა წ, ჭ, ძ, ყ, და სხვ., ისქენდერ ჭიტაშს თვითონვე დაუხატავს და დაუდგენია, რომ ამას დაერქვას წ, ამას—ჭ, ამას—ყ, ამას—ჯ და ა. შ.

რა საჭიროა ყველაფერი ეს, როცა ლაზებს თავისი, ქართული ანბანი აქვთ?

ვსვამ კითხვას—რა საჭიროა ლაზური სიტყვების ახლანდელი თურქული ლათინიზებული ანბანით წერა, მით უმეტეს, როცა შემდეგ კლასებში სწავლა მიმდინარეობს ქართულ ანბანით, ქართულ ენაზე? ვისთვისაა ეს საჭირო?

როცა ასე საღად, ლენინურ-სტალინურად დააყენა საკითხი სარფის სკოლის გამგემ, ის სამუშაოდან მოხსნეს.

აკადემიკოსმა ნიკო მარმა ლაზური წიგნები ქართული ანბანით დაწერა, რადგანაც ეს არის ქართველ ტომთა ანბანიო. აი ამას ამტკიცებდა სკოლის გამგეც!

საბჭოთა კავშირის უამრავმა ერებმა თავიანთი ნაციონალური კულტურის განვითარებისათვის შემოიღეს ლათინური ანბანი. ეს მიზანშეწონილია ამ ერებისათვის, მაგალითად, თურქებისათვის, თათრებისათვის, რომელნიც ძველი ანბანის შესწავლას სამ-ოთხ წელიწადს უნდებოდნენ.

მე პირადად ძველი თურქული ანბანით წერა-კითხვის შესწავლას მთელი სამი წელიწადი მოვანდომე.

ამ ხალხებს ლათინური ანბანის შემოღება არა მარტო უადვილებს წერა-კითხვის მალე შესწავლას, არამედ დიდად აადვილებს სიტყვების სწორად გამოთქმასაც.

მაგრამ ლაზებზე ეს არ ითქმის. თურქული ლათინიზებული ანბანი მათ ხელოვნურად უძნელებს ლაზური ენის შესწავლას. მათ უფრო ადვილი ანბანი აქვთ, მათი კულტურის, მათი ენის ბუნებრივად გამომხატველი, ე. ი. ქართული ანბანი.

სულთანის ოსმალეთის ბარბაროსები, რომლებმაც ლაზებისათვის ლაზური ენა უარჰყვეს და ლაზებს საკუთარი ენა, ქართული წერა-კითხვა შეაძულეს, უნერგავდნენ მათ მახინჯ შეხედულებას, რომ ისინი თურქები არიან და მათი ანბანიც არაბულია და არა ქართული. ჩვენთვის ნათელია, თუ რაში გამოიხატებოდა მათი შავრაზმული მიზანი.

ამავე მოსაზრებებით მოქმედებს ალბათ ლაზურ სკოლებში ლათინური, ე. ი. ახლანდელი თურქული ანბანის შემოღების ავტორი ისქენდერ ჭიტაში.

სოფ. სარფის სკოლაში პირველ ორ წელს ლაზურ ენაზე სწავლებისათვის ლათინური ანბანის შემოღების საკითხის გარკვევაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კათედრამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, რადგან მას მოეპოვება ამ საკითხის სწორად გადაჭრის უტყუარი საბუთები.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა შესაფერი ზომები მიიღონ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დამმახინჯებელთა წინააღმდეგ.

ლაზი ახმედ თანთოღლი
საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი.

ჩემი წინადადება

მეთესლეობის მტკიცე ბაზის შექმნა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „მარცვლეულ კულტურათა თესლის გაუმჯობესების შესახებ" წარმოადგენს გაშლილ პროგრამას მეთესლეობის საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

ჭიათურის რაიონში შერჩეულია ორი სამეთესლეო კოლმეურნეობა: სოფელ გოგოლაძეების ორჯონიკიძის სახელობისა და ს. ჩიხის „პირველი მაისი".

უნდა ვიფიქროთ, რომ ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მიერ მიღებული სათესლე მასალა ჭიათურის რაიონის მთიანი ადგილებისათვის მისაღები იქნება. რაც შეეხება ორჯონიკიძისა და ტყიბულის რაიონებში ამ თესლის რენტაბელობის საკითხს, ჩემის აზრით, ეს წინასწარ უნდა იქნას შესწავლილი.

ხორბლის ჯიშის „კოოპერატორკის" დათესვა მეთესლეობის ამ კოლმეურნეობაში შეიძლება, მაგრამ გამოყოფილი 90 ჰექტარი, რელიეფის თავისებურების გამო არ იძლევა მექანიზაციის გატარების შესაძლებლობას, ხელით აღების დროს კი, როგორც ცნობილია, ჩაცვენა მეტი იქნება.

რაც შეეხება ჩიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობას, აქ სიმინდისათვის გამოყოფილია სათესლე მასალის მისაღები ნაკვეთი 60 ჰექტარი. ეს ნაკვეთი მდებარეობს საჩხერის ხოდაბუნზე, სადაც მექანიზაციის გატარება ადვილია. ამ კოლმეურნეობამ თესლით უნდა დააკმაყოფილოს ჭიათურისა და ორჯონიკიძის რაიონები. საჩხერის ხოდაბუნზე საერთოდ გამართლება აქვს „აჯამეთის თეთრს". ამ ჯიშის სიმინდი ჭიათურის რაიონის მთიანი სოფლის საბჭოებისათვის, ჩემი აზრით, არარენტაბელური იქნება. ასევე შეიძლება ითქვას ორჯონიკიძის რაიონის მთელი რიგი სოფლსაბჭოების მიმართ, რასაც უთუოდ უნდა დაკვირვება და შემდგომი შემოწმება.

შ. ცინცაძე.
ჭიათურის რაიმიწგანის უფროსი აგრონომი.

თ. მინაშვილი
კვირიკეს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

მავნებლობის შედეგთა აღმოფხვრის გზით

ლიმმანტრესტის კვირიკეს საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა 1932 წელს. 5 წლის წინათ კვირიკეს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია წარმოადგენდა ტურა-მგლებისა და გარეული ღორების საბუნაგოს. იქ გავლა ადამიანს დღისითაც არ შეეძლო. დღეს კი იგი ციტრუსების ბაღნარს წარმოადგენს. ამჟამად მეურნეობის ტერიტორია განისაზღვრება 225 ჰექტარით.

1937 წლის 1 იანვრამდე დახარჯულია 5 მილიონ მანეთამდე. ამოდენა თანხა ლიმმანტრესტის სისტემის თითქმის არცერთ მეურნეობაში არ დახარჯულა. მიუხედავად ამისა, კვირიკეს მეურნეობა მუდამ ჩამორჩებოდა, რაც გამოწვეული იყო ხალხის მტრების მავნებლური მუშაობით.

1932 წლიდან 1937 წლამდე დარგული იყო 67.000 ძირი ციტრუსოვანი ნარგავი. აქედან ჯანსაღადაა 27.000 ძირი, მთელი ნარგავის 40 პროცენტი, დანარჩენი 60 პროცენტი კი დაიღუპა მავნებლურ მუშაობის შედეგად.

უნუგეშო მდგომარეობაში იყო სანერგეც, რომლის ტერიტორიაზე სრულებით არ იყო გატარებული მელიორაცია. წვიმის დროს ნერგები წყლით იფარებოდა, რაც იწვევდა დაავადებას. სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. ეს იწვევდა მუშების ხშირ დენადობას. მშენებლობაზე დიდძალი თანხები იხარჯებოდა, მაგრამ მუშათა საცხოვრებელი ბინები მავნებლურად ააშენეს.

რამდენიმე წლის განმავლობაში ლიმმანტრესტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი-დივერსანტი ცინცაძე, რომლის წყალობითაც მეურნეობის დირექტორად მოკალათდა კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი ვანო სეფერთელაძე. ეს უკანასკნელი ანიავებდა მეურნეობის ქონებას, ჰფლანგავდა უამრავ თანხებს, ხელოვნურად ჰქმნიდა სიძნელეებს, რათა გეგმები ჩაშლილიყო. ტროცკისტმა მავნებელმა სეფერთელაძემ გაფლანგა 27.000 მანეთი. ამ საზიზღარ მავნებლებს — ცინცაძეს და სეფერთელაძეს არ ჩამოუვარდებოდა ჯანელიძეც, რომელიც მავნებლური მუშაობისა და სახელმწიფო ქონების განიავებისათვის რამდენჯერმე იყო მიცემული პასუხისგებაში, მაგრამ თავისი გაიძვერული და თვალთმაქცური მოქმედებით ყოველთვის თავს აღწევდა სასჯელს. პროკურატურის და სასამართლოს ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს რევოლუციური სიფხიზლე კვირიკეს მეურნეობაში მოკალათებული შენიღბული მავნებლების გამომჟღავნებაში. მავნებელ სეფერთელაძის მიერ გაფლანგული თანხის ასანაზღაურებლად უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება სეფერთელაძის ქონების კონფისკაციის შესახებ, მაგრამ ეს დადგენილება ჯერაც არ არის სისრულეში მოყვანილი.

მავნებელმა წილოსანმა, რომელიც 1936 წელს მეურნეობის სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა, მავნებლურად ჩაუყარა საძირკველი ორსართულიან კაპიტალურ შენობას; შენობა დაინგრა პირველი სართულის აყვანისთანავე. წილოსანმა ამით მეურნეობას მიაყენა 60.000 მანეთის ზარალი. პასუხისგებაში მიცემული წილოსანი საჯაროდ გაასამართლეს მეურნეობაში. მუშები სასამართლოსაგან მოელოდნენ სამართლიან განაჩენს, მაგრამ ქობულეთის სასამართლომ საზიზღარ მავნებელ წილოსანს მხოლოდ წლინახევრით პატიმრობა მიუსაჯა. დაუჯერა რა წილოსანის ყალბ განცხადებას, თითქოს არავითარი ქონება არ გააჩნია, სასამართლომ არ გამოიტანა განაჩენი მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. გაიძვერა წილოსანმა ნაცნობების საშუალებით მოახერხა აჭარის უზენაეს სასამართლოში საქმის „გაკვაჭვა". უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქობულეთის სასამართლოს განაჩენი და წილოსანი სასჯელისაგან გაანთავისუფლა. ამჟამად წილოსანი თავისუფლად დასეირნობს ლანჩხუთის რაიონში!

მეურნეობაში უფროსი ბუღჰალტრის თანამდებობაზე მოკალათებული იყო კომბინატორი—გაიძვერა შერბატოვი, რომელიც ადგენდა ყალბ საბუთებს, მაგრამ მის შავბნელ საქმიანობას ფარდა აეხადა და იგი მიცემულ იქნა პასუხისგებაში. მას შემდეგ ცხრა თვე გავიდა, სასამართლოს კი ჯერაც არ განუხილავს მისი საქმე.

უფროსი ბუღჰალტრის თანამდებობაზევე მუშაობდა გაიძვერა-კომბინატორი - ჟულიკი პოდრუჟნი, რომლის ნამდვილი გვარი აღმოჩნდა პადოლსკი. იგი მოპარული პასპორტით თავს აფარებდა მეურნეობაში. მისი ფიზიონომიის გამორკვევის შემდეგ იგი გააძევეს მეურნეობიდან და პასუხისგებაში მისცეს.

გაიძვერა ჩხიკვაძემ და მისმა დამქაშებმა გაბელაიამ და თოფურიძემ გაფლანგეს 18.000 მანეთამდე. ეს თანხა მეურნეობას დღესაც არა აქვს ანაზღაურებული. მეურნეობამ დანარჩენი გამფლანგველები და კომბინატორებიც მისცა პასუხისგებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილობრივი პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები ყურს არ იბერტყავენ.

რა მიღწევები აქვს მეურნეობას 1936-37 წლის მანძილზედ? საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე მეურნეობა გაწმენდილ იქნა მავნებლებისა და ცუდლუტებისაგან. მეურნეობა განმტკიცდა საიმედო შერჩეული კადრებით. მეურნეობის ჯანსაღმა კოლექტივმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამხ. ლ. ბერიას საპროგრამო მოხსენების შესაბამისად წარმართა მუშაობა, რის შედეგად მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი.

1937 წლის გაზაფხულზე აგროწესების სრული დაცვით დაირგა 3.000 ძირი მანდარინი. გახარებულ ნარგავთა რაოდენობა 99,5 პროცენტს შეადგენს.

სანერგის მთელ ტერიტორიაზე გატარებულია სრული მელიორაცია. გაყვანილია მაგისტრალური არხი 6,5 კილომეტრის სიგრძისა, ხოლო წვრილი არხები—16 კილომეტრი.

ციტრუსების განვითარების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად კვირიკეს მეურნეობის სანერგეში მთელ ზაფხულზე უნდა დაამყნას ერთი მილიონი საძირე. აქედან ლიმონი 400 ათასი, მანდარინი 500 ათასი, ფორთოხალი 100 ათასი, გარდა ამისა იაპონური ხურმა 112 ათასი. ამისათვის გაზაფხულზე პიკირებული უნდა ყოფილიყო მილიონ სამოცი ათასი, ფაქტიურად კი პიკირებულია მილიონ ასი ათასი, ე. ი. გეგმის 100,3 პროცენტი. მეურნეობამ 1936-37 წლის მძიმე ზამთრის პირობებში შესძლო როგორც პლანტაციის ნარგავების, ისე ნერგების სანიმუშოდ გამოზამთრება. ამის შედეგად წელს გაზაფხულზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ათასი ნერგისა, მეურნეობამ გასცა 145 ათასი სავსებით ჯანსაღი ნერგი. აღნიშნული სამუშაოების კეთილსინდისიერად შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცეს სტახანოველებმა: აგრ. ირაკლი კასრაძემ, აგროტექნიკოსმა ბენია კუკულაძემ და სიმონ გიორგაძემ, ორდენოსანმა მყნობელმა არონ კიტიამ, ორდენოსანმა ენტომოლოგმა სიმონიშვილმა, ივანე ფეისტმა, კოსტა ცირეკიძემ, დიმიტრი ლევენცმა, მატრონა რამიზოვმა და სხვ.

მეურნეობა ადრევე შეუდგა სამზადისს მყნობის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. მომზადებულია 120 მყნობელი, მომარაგებულია რაფია, დანები და სხვა საჭირო მასალა. მეზობელ კოლმეურნეობას მოვუმზადეთ 25 მყნობელი.

მეურნეობაში დღითიდღე იზრდება სტახანოველთა მოძრაობა. ამჟამად მეურნეობას ჰყავს 45 საუკეთესო სტახანოველი.

გეგმით გათვალისწინებული იყო ტრიფოლიატის 2.000 საძირის დარგვა 8 საათის განმავლობაში. ეს ნორმა დარგვის პირველ დღეებში ხშირად ვერ სრულდებოდა. სანერგის გამგემ აგრონომმა კასრაძემ გამოიგონა ისეთი კონსტრუქციის სარგავი იარაღი, რომლის საშუალებით ნორმა 250 პროცენტით სრულდებოდა. ეს იარაღი გამოყენებულია მეზობელ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რამაც ხელი შეუწყო ტრიფოლიატის პიკირების გეგმის წარმატებით შესრულებას.

ციტრუსოვანთა ნარგავები დღემდე მხოლოდ თოხით ითოხნებოდა. მეურნეობის აგრონომმა მაქსიმე გაბაშვილმა მოახდინა მთაგორიან რელიეფზე ხელის კულტივატორის გამოყენების ცდა. ეს კულტივატორი მსუბუქია, იოლი მოსახმარი და კარგ ეფექტს იძლევა. ერთი მუშა 8 საათში აფხვიერებს ხუთასიდან ექვსასამდე ძირს, ნაცვლად ლიმმანტრესტის ნორმით გათვალისწინებული 120 ძირისა, ხელის კულტივატორით აღნიშნული სამუშაოების შესრულება იძლევა შრომის ნაყოფიერების ზრდას 333 პროცენტით, ხელის კულტივატორით თოხნისა და გაფხვიერების წარმოება შესაძლებელია როგორც ტერასებზე, ისე ინდივიდუალურ ბუდნებზე.

ხელის კულტივატორის გამოყენება სანერგეში შრომის ნაყოფიერებას 550 პროცენტით ადიდებს. მუშაობის ასეთი მეთოდი უნდა გამოიყენოს ციტრუსების ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ.

ამჟამად უდიდესი ყურადღება ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. 1936 წ. აგებულ იქნა საბავშვო ბაგა 14 ოთახით. მეურნეობის სტახანოველი მუშები და მოწინავე ადამიანები უზრუნველყოფილი არიან ცალკე საცხოვრებელი ბინებით და საჭირო ინვენტარით. მეურნეობამ 1936 წ. ააგო ელსადგური. ყველა მუშა-მოსამსახურის ბინები განათებულია ელექტრონით.

აღსანიშნავია, რომ მეურნეობა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფება უწყლობის გამო. ამ საკითხის მოგვარებაზე არ ფიქრობენ არც მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველო და არც ლიმმანტრესტი. მოვლინებულმა სპეციალისტებმა ხუთჯერ მოახდინეს გამოკვლევა წყალსადენის გამოსაყვანად, რამდენიმე ათასეული მანეთიც დაიხარჯა, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი დღემდე არა სჩანს.

მე-17 პარტყრილობაზე ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ სიტყვა მისცა მშრომელთა საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ 1937 წელს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს მივცემთ ნახევარ მილიარდ ცალ ციტრუსის ნაყოფს. ამ საბრძოლო დავალების შესრულებაში კვირიკეს მეურნეობა შეიტანს თავის წვლილს.

მთელი მუშაობა ამჟამად იქითკენ არის წარმართული, რომ 1938 წ. მეურნეობა რენტაბელური გახდეს. კვირიკეს საბჭოთა მეურნეობა 1940 წლისათვის სახელმწიფოს მისცემს რვა მილიონ ცალ ციტრუსის ნაყოფს.

1938 წელს მეურნეობა ციტრუსებისა და სხვადასხვა ნერგებისაგან მიიღებს ნახევარ მილიონ მანეთს, 1939 წ. — 755 ათას მანეთს, ხოლო 1940 წ. ერთ მილიონ 404 ათას მანეთს. თუ 1936 წ. ციტრუსების თითო ცალი ნაყოფი მეურნეობას დაუჯდა 90 კაპიკი, 1937 წ. დაუჯდება 10 კაპიკი, 1940 წ. კი—4 კაპიკი.

ციტრუსების ხუთწლიანი გეგმის მიხედვით 1940 წლამდე ციტრუსები გაშენებული იქნება დამატებით 18 ჰექტარზე, ტუნგო—9 ჰექტარზე, ევკალიპტი—16, ბამბუკი—6 ჰექტარზე და სხვ.

1940 წლამდე კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯება 2.210.000 მანეთი.

ასეთია კვირიკეს ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობის პერსპექტივები.

ქობულეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტარიელი, ავთანდილ და ფრიდონი მიადგნენ ქაჯეთის ციხეს", „ვეფხის-ტყაოსნის" საიუბილეო გამოცემის ილუსტრაცია, შესრულებული ორდენოსან მხატვრის ლადო გუდიაშვილის მიერ მოსკოვის სამხატვრო სალიტერატურო გამომცემლობისათვის. ფოტო - რეპროდუქცია რ. აკოფოვისა

ახალი სასწავლო წლის წინ

სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის უნივერსიტეტში გაჩაღებულია მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. გადამუშავებულია პროგრამები ძირითად დისციპლინებში. პროგრამები პირველად იბეჭდება სასტამბო წესით და ამასთან კომპლექტურად — ფაკულტეტებისა და კურსების მიხედვით.

ახალ სასწავლო წელს საგრძნობლად გაუმჯობესდება სტუდენტების მომარაგება სახელმძღვანელოებით.

ჯეროვნად მომზადებულია სწავლის მატერიალური ბაზა. მოწყობილია ახალი ლაბორატორიები — ნიადაგთმცოდნეობისა, ჰისტოლოგიისა და ანატომიისა და ანალიზური ქიმიისა. გაფართოებულია ზოოლოგიის, ბოტანიკისა და გეოგრაფიის კაბინეტები. გამოწერილია ახალი აპარატურა სამეცნიერო-საკვლევო და სასწავლო მუშაობისათვის ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში და სხვ.

გადასინჯული და განახლებულია ხელმძღვანელი, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა. დაწინაურებული არიან ახალგაზრდა მეცნიერთა ახალი კადრები. მათ შორის 1937-38 სასწავლო წელს კურსების კითხვას პირველად შეუდგებიან ლინგვისტი მ. ჩხენკელი, ლიტერატურის მცოდნენი ა. ჩაველიშვილი და ვ. ასათიანი, ისტორიკოსი ტ. რუხაძე, სტატისტიკოსი შ. ბერიძე, გეოლოგი გ. ხარატიშვილი და სხვ.

განზრახულია უნივერსიტეტში სამუშაოდ მოიწვიონ მთელი რიგი დიდი სპეციალისტები საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებიდან (უმთავრესად საბუნებისმეტყველო დისციპლინებში).

სტუდენტთა კონტინგენტი განსაზღვრულია 875 კაცით. ამ რაოდენობის ადგილზე უკვე შემოტანილია ათასზე მეტი განცხადება.

აგვისტოში გამოცდისათვის ჩამოსულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლებით, სასადილოთი, ბუფეტით, კულტურული დასვენებითა და მომსახურებით.

საგამოცდო კომისიები მთლიანად შედგენილია.

მეორე შეხვედრა ბასკ ფეხბურთელებთან

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა დააკმაყოფილა თბილისის ფეხბურთელთა თხოვნა ბასკ ფეხბურთელებთან მეორე შეხვედრის მოწყობის შესახებ.

მატჩი შესდგება 30 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ამხ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე.

ბილეთების წინასწარი თავისუფალი გაყიდვა უკვე დაიწყო სტადიონის ყველა სალაროში და „დინამოს" მაღაზიებში. გარდა ამისა, თბილისის დიდ საწარმოო-დაწესებულებებში მოეწყობა დამატებითი სალაროები.

მატჩის მსაჯად მოწვეულია საკავშირო კატეგორიის მსაჯთა კოლეგიის წევრი, ლენინგრადელი შელიკოვი.

თბილისის ფეხბურთელები გაცხოველებით იმზადებიან ბასკებთან შეხვედრისათვის. გუშინ საღამოს მათ „დინამოს" ტრენერის ამხ. სოკოლოვის ხელმძღვანელობით ჩაატარეს პირველი სავარჯიშო თამაში.

◇

მყნობა დაიწყო

მახარაძე, 27 ივლისი (ჩვენი საკ. კორ.) მახარაძის რაიონში ციტრუსოვან კულტურათა მყნობა მასობრივად გაჩაღდა. 27 ივლისისათვის დამყნილი იყო 200.000 ძირი. მყნობა გრძელდება. ყოველგვარი პირობები არსებობს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

◇

ავიამოდელისტების შეჯიბრება

დღეს, 28 ივლისს, დაიწყება და 30 ივლისს დამთავრდება საქართველოს ავიამოდელისტების მესამე რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელიც ეწყობა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს ინიციატივით. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, სტალინირის, გორის და თბილისის ავიამოდელისტთა გუნდები, სულ 70-მდე მოდელისტი.

შეჯიბრებას ადგილებად შერჩეულია კუკიის და ლისის ტბის მიდამოები და რუსთავი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შეადგენენ საქართველოს საუკეთესო ავიამოდელისტთა ნაკრებ გუნდს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ავიამოდელისტების მე-11 საკავშირო შეჯიბრებაში.

ავიამოდელისტების საკავშირო შეჯიბრება იწყება კოკტებელში 3 აგვისტოს.

ხელოვნება

საგარეჯოს თეატრი.

ამ 60 წლის წინათ სოფლის მშრომელთა წრიდან გამოსულმა ინტელიგენტებმა საგარეჯოში პირველი წარმოდგენები გამართეს. წარმოდგენებმა გლეხობა დააინტერესა. მას შემდეგ, მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა, რომელიც გადაიტანეს თვითმპყრობელობისა და მენშევიკური დუხჭირი ცხოვრების მეოხებით, ავად იყო თუ კარგად, საგარეჯოს მშრომელებს თავისი თეატრი ჰქონდათ. 1926 წელს თეატრმა თავისი არსებობისა და ნაყოფიერი მუშაობის 50 წლისთავი იზეიმა.

გავიდა ცოტა ხანი და რაიაღმასკომის ძაშინდელმა თავმჯდომარემ ადიკაშვილმა „მომჭირნეობის" მიზნით გააუქმა თეატრი და მისი შენობა სახკინმრეწვს გადასცა. ადგილობრივი კინობაზა ახლა უფლებას არავის აძლევს თეატრის შენობაში საღამო—წარმოდგენები გამართოს. ამას წინათ საგარეჯოს მომღერალთა გუნდს უნდოდა კონცერტის გამართვა, დიდი ხვეწნისა და დავის შემდეგ კინობაზის ხელმძღვანელი, როგორც იყო დაითანხმეს. გუნდმა სცენა წინადღით მოაწყო, მაგრამ როცა გენერალური რეპეტიციისათვის მივიდნენ, დაინახეს რომ კინო-მექანიკოსებს სცენიდან ფარდები ჩამოეგლიჯათ და ლეიბად გამოეყენებინათ. ასეთი შემთხვევები არც ისე იშვიათია. კინობაზამ სცენა მექანიკოსების საწოლ ოთახად გადააქცია, თეატრის დეკორაციები და რეკვიზიტი საწყობში უპატრონოდ ჰყრია. კინობაზის უყურადღებობითა და დაუდევრობით თეატრის ბევრი ქონება განიავდა.

საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელებს, სჩანს, ნაკლებად აინტერესებთ 60 წლის ისტორიის მქონე თეატრის აღდგენა; ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხომ სულ არ ახსოვს საგარეჯოს თეატრი.

შ. ხობელი.

◇

გაზეთები არ მოგვდის

ტყიბული, 27 ივლისი. (საკ. კორ.) ადგილობრივი ორგანიზაციების დაუდევრობით მკითხველებზე ჟურნალ-გაზეთების მიწოდების საქმე ფერხდება.

რაიონის ცენტრში ერთი საგაზეთო კიოსკი არ მოიძებნება. კავშირგაბმულობის რაი-განყოფილება ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქერის. ამის გამო მკითხველები სამართლიან საყვედურს გამოსთქვამენ, კავშირგაბმულობის რაი-განყოფილების გამგეს ამხ. ბეშკენაძესაც მიმართეს, მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა და ეს სამართლიანი საყვედურები ტრაფარად ჩასთვალა.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა მაღარიების უბანშიც. ხელმოწერის გარეშე დარჩენილ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს საშუალება არა აქვთ დროზე გაეცნონ გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს.

საჭიროა საგაზეთო კიოსკები ახლავე გაიხსნას.

სასამართლო

საზიზღარი მკვლელობა

პეტრე არბოლიშვილი ბორჯომის რაიონის სოფ. ტიმოთის-უბნის მცხოვრები, საკოლმეურნეო ცხოვრებამ გამართა წელში. მოხუცი დედ-მამა, ცოლი და ორი ბავშვი სიხარულით და სიყვარულით შეჰყურებდნენ პეტრეს, ოჯახის ამ ერთადერთ ნუგეშსა და ბურჯს.

პეტრე არბოლიშვილი ფულს თავს უყრიდა ახალი სახლის ასაშენებლად. მაგრამ არ დასცალდა.

24 ივნისს დილით, პეტრე ურმით გზას გაუდგა ტყისაკენ. მას თოხებით აედევნენ ძმები ლავრიმე და გორდია არბოლიშვილები, რომლებმაც პეტრეს დავა დაუწყეს. პეტრემ მათ სამართლიანად უპასუხა:

— რას მერჩით ძმაო, შეშა ტყეში დავაგროვე საბუთიც მაქვს.

პეტრე სოფელში შევიდა. ტყისმცველს ამხ. მ. გელაშვილს ჰკითხა:

— შეშა მიმაქვს ჩემი საკუთარი და ისენი რას მერჩიან.

— წადი, ვის რა უნდა შენთან, — მიუგო ამხ. გელაშვილმა.

კმაყოფილი პეტრე ხარებს გაუძახოდა; ეჩქარებოდა, ყანაში მიდიოდა სამუშაოდ და ცდილობდა არ დაგვიანებოდა. მაგრამ დახეთ უბედურებას! უხამით გალესილი ლავრიმე არბოლიშვილი მიეპარა პეტრე არბოლიშვილს (თავის ღვიძლ ბიძაშვილს) და მძლავრად მოქნეული თოხი თავში დაარტყა. გრძნობა დაკარგული პეტრე ძირს დაეცა.

საზიზღარი მკვლელი მიიმალა, მაგრამ იგრძნო რა დანაშაულის სიმძიმე, თვითონ გამოცხადდა წალვერის საუბნო მილიციაში.

ბორჯომის სახალხო სასამართლოს გასვლელმა სესიამ სახალხო მოსამართლის ამხ. ივ. სამთელაძის თავმჯდომარეობით და პროკურორის ამხ. ს. გოგოლაძის მონაწილეობით წალვერში გაარჩია ლავრიმე არბოლიშვილის საქმე.

სასამართლოში ბრალდებული აბნეულად ლაპარაკობდა. ცდილობდა მსუბუქად ეჩვენებინა თავისი დიდი დანაშაული, მაგრამ სასამართლოსათვის ყველაფერი ცხადი იყო.

ლავრიმე არბოლიშვილს სასამართლომ მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლის ვადით სამოქალაქო უფლების ჩამორთმევა. ბრალდებულს დაეკისრა 880 მანეთის გადახდა დაზარალებულის ოჯახის სასარგებლოდ. მასვე დაეკისრა ყოველთვიურად 60 მანეთის გადახდა დაზარალებულის ბავშვების შესანახად მათი სრულწლოვანებამდე.

ზრ. ლომიძე

◇

აჯამეთის ქალკედონი

მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი წელს ატარებს აჯამეთის ქალკედონის საბადოს სამრეწველო გამოკვლევას. გამოკვლევით გამორკვეულია, რომ აჯამეთის საბადოს შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს ჯულელის ფეროშენადნობთა ქარხნის მოთხოვნილება ქალკედონის დარგში ფეროსილიციუმის გამოსამუშავებლად. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა მოსკოვში დაადასტურა საბადოს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა. ქალკედონის მარაგი საკმარისია ქარხნის მოსამარაგებლად ნედლეულით რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

ქალკედონი ფეროსილიციუმის საწარმოებლად წინათ ჯულელში დონბასიდან მოჰქონდათ, რაც არანაყოფიერად ტვირთავდა ტრანსპორტს და გავლენას ახდენდა პროდუქციის თვითღირებულებაზე. შემდგომში ქარხანას მოამარაგებენ აჯამეთის საბადოს ქალკედონით (საქდესი).

◇

საზამთრო ქუთაისის ბაზარზე

ქუთაისი (საკ. კორ.) თბილისის ბაზარზე ცნობილია ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობათა ბოსტნეული, კერძოდ მუხიანის საზამთრო და ნესვი. წელს ხელსაყრელი ამინდი იდგა რაიონში, ბოსტნეულის მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

წინასწარი ვარაუდით კოლმეურნეები მოელიან ბახჩეულის უხვ მოსავალს. რაიონის ზოგიერთ მოწინავე კოლმეურნეობის ბეჯითი მუშაობის შედეგად ქუთაისის ბაზარზე ნაადრევად შემოვიდა საზამთრო.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის ბაზარზე დიდი რაოდენობით არის ბოსტნეული და ხილი, რომელთა ფასები ყოველდღიურად კლებულობს.

თბილისი. ამ დღეებში მოეწყობა საქალაქო შეჯიბრება წყლის სპორტში. სურათზე: საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ცურვაში ეკატერინე კრაპივა. ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ახალი ამბები

○ ახალი სასწავლო წლიდან მოზარდთა საქალაქო და სასოფლო სკოლებში (სადაც მეცადინეობა სწარმოებს წარმოებისაგან მოუწყვეტლად) თვეში 25 სასწავლო დღის ნაცვლად შემოღებული იქნება 19 სასწავლო დღე, ხუთ-ხუთი აკადემიური საათით დღეში.

○ აფხაზეთის კოლმეურნეობებში შემოიღეს თამბაქოს აცმის ახალი საშუალება, რომელიც აადვილებს ამცმელთა შრომას და ადიდებს მათ ნაყოფიერებას. თამბაქოს აცმა ახალი საშუალებით მაგიდასთან სწარმოებს.

○ „საქფილეგთის" საზაფხულო თეატრში დაიწყო მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის სოლისტების ორდენოსან ი. ჟადანის (ტენორი) და მ. სემიონოვას (მოცეკვავე) გასტროლები. უკვე მოეწყო ჟადანის ერთი და სემიონოვას ორი გამოსვლა.

○ 20 ივლისიდან ლაგოდეხში მუშაობა დაიწყო ახალმა საბავშვო ბაგამ, სადაც მოთავსებულია 30 ბავშვი. ბაგა კარგად არის მოწყობილი.

◇

პარტკალენდარი

28 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ამხ. სისილია მოხსენებას წაიკითხავს კომკავშირის აქტივისათვის თემაზე: „დებულება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ". შესვლა გასაშვები ბარათებით.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1506666, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მიერ აბესალომ გიორგის-ძე აპრიაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომი იუწყება, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 1533908, გაცემული ვლადიმერ ათანასის-ძე ქარქაშაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი №1511647, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მიერ შალვა სარქისის-ძე შიბდიროვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1512228, გაცემული სიღნაღის რაიკომის მიერ მათე ელიხას-ძე წიკლაურის სახელზე, და ს. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბილეთები, გაცემული სიღნაღის რაიკომის მიერ № 0710500 ზაქარა ივანეს-ძე ხუნაშვილის, № 0710553 მაიკო კოტეს ასულ ჩხოლიძის და № 0710460 ვლადიმერ დავითის-ძე ჯამასპიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

„ვეფხის ტყაოსნის" სურათები

ხალხურ მუსიკალურ საკრავებზე

ამჟამად მესხეთ-ჯავახეთში მუშაობს რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორული ექსპედიცია, რომელიც სწავლობს შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ კუთხის ხალხურ შემოქმედებას.

მესხეთ - ჯავახეთის თითქმის ყველა სოფელში შენახულია ისტორიული მნიშვნელობის თქმულებები და გადმოცემები, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შოთა რუსთაველის ხალხური ბიოგრაფია, ხალხური ვეფხის-ტყაოსნის მრავალრიცხოვანი ვარიანტები, თქმულებები თამარ დედოფლის, ერეკლე მეფისა და სხვა ცნობილ მოღვაწეთა შესახებ. ხალხში აგრეთვე საყურადღებო ცნობებია შენახული ისეთ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლებზე, როგორიცაა ზარზმა, საფარა, ახალციხის ძველი ნაწილი (რაბათი), აწყური, ხერთვისი, თმოგვი, ორმოცის ციხე, ვანის-ქვაბები და სხვ.

ჩვენმა ფოლკლორულმა ექსპედიციამ ხუთიოდე დღის განმავლობაში მარტო ახალციხის რაიონში შესძლო თავის ირგვლივ 40-მდე თქმულების შემოკრება. უკვე ჩაწერილია 10-ზე მეტი თქმულება შოთა რუსთაველის პიროვნების შესახებ, ტარიელიანის რამდენიმე ახალი ვარიანტი, აგრეთვე ზღაპრები, ლეგენდები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები, შაირები და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი ფაქტი. ჩვენთვის აქამდე ცნობილი იყო, რომ „ვ. ტ." სამზითვო წიგნს წარმოადგენდა, მაგრამ მის სიუჟეტზე აგებულ მხატვრობასაც რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონია, ეს არ ვიცოდით. მესხეთ - ჯავახეთში ხალხურ მუსიკალურ საკრავთა შორის ძლიერ გავრცელებულია დაირა. სწორედ ამ დაირაზე გვხვდება ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტიდან აღებული სურათები. დაირის ქარაზე (მესხური სახელწოდება, მისი ხის ნაწილისა) გადაჭიმულ ცხვრის ან თევზის ტყავზე ხატავდნენ ტარიელს, ავთანდილს ან რუსთაველის სხვა რომელიმე გმირს. ახალციხეში მცხოვრებ მჭედელს ივანე იოსების-ძე აზარაშვილს ჰქონია ერთი ასეთი ნამზითვი დაირა. ამ დაირის ტყავზე გამოხატულია მდინარის პირას ჩამომჯდარი ტარიელი, თავს ტაიჭი ადგას, ხოლო შორს ცხენზე მჯდომარე ავთანდილის სილუეტი მოსჩანს მწვანით დაფარულ მთებს შორის. როგორც ი. აზარაშვილი, ქ. ჯვარამაძე და სხვები გადმოგვცემენ, დაირის ქარაზეც ანალოგიური სურათები იხატებოდა. ამჟამად აღნიშნული დაირის ქარა დაკარგულია, ხოლო მასზე გადასაკრავი სურათებიანი ტყავი ინახება ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მიღებულია ზომები დაირის ქარის მოსანახავად.

ხალხური მუსიკალური საკრავების ასეთი დასურათხატება მეტად საყურადღებო მოვლენაა. ის კვლავ ერთ საბუთს გვმატებს იმის დასადასტურებლად, რომ „ვ. ტ." ლექსი სიმღერით სრულდებოდა სახალხო დღესასწაულებზე და შეკრებილობებზე.

ფოლკლორული ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში აგროვებს ანალოგიურ ცნობებს დანარჩენ სამზითვო მუსიკალურ საკრავებზეც.

მიხ. ჩიქოვანი.

◇

არტეზიული ჭები უწყლო ველებზე

ლენინგორის, ყაზბეგის და დუშეთის რაიონების მეცხვარეები ყოველწლიურად დაახლოებით 150.000 ცხვარს მიერეკებიან ყარანოგაისა და გაიდუკის საზამთრო საძოვრებზე, რომლებიც მდებარეობს დაღესტნისა და ყალმუხთა ასს რესპუბლიკაში, მაგრამ მეცხვარეებს წყლის ძებნაში ფარის გარეკა უხდებათ შორეულ საძოვრებზე, სადაც არტეზიული ჭებია.

წელს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო ჯეოლოგიურ ტრესტთან 8 ახალი არტეზიული ჭის ასაგებად ყარანოგაისა და გაიდუკის ველებზე. ჭების ბურღვის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. უკვე დამთავრებულია პირველი ჭის ბურღვა, რომელიც დღე-ღამეში იძლევა დაახლოებით 4 ათას ვედრო გემრიელ, მაღალხარისხოვან წყალს.

ყველა 8 ჭის მოწყობის შემდეგ საქართველოს მეცხვარეები მიიღებენ კეთილმოწყობილ, საკვები ბალახებით მდიდარ საძოვრებს, 290.000 ჰექტარის ფართობზე, რომელიც მომსახურებას გაუწევს 250.000-ზე მეტ სულ ცხვარს. დანარჩენი ჭების ბურღვას გაძლიერებული ტემპებით აწარმოებენ. ბურღვას ხელმძღვანელობს სპეციალისტი ინჟინერი ამხ. ვაშაძე.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წელს დასახული აქვს ჩაატაროს დიდი სამშენებლო სამუშაოები საძოვრების კეთილმოსაწყობად. აგებული იქნება 36 ფარეხი 70.000 სული ცხვრისათვის (საქდესი).

◇

უპატრონო აბანო

თბილისი რომ აბანოებით სახელგანთქმულია, ამას შორეულ ადგილებშიაც გაიგონებთ, მაგრამ ზოგიერთი აბანოს დღევანდელი სახე ვერაფერ სახელს უხვევს თბილისის ამ სანაქებო მეურნეობას.

ლენინის რაიონში აბანო № 2 ახლად აშენებულია, მაგრამ ხალხის კულტურულად მომსახურებით მაინც ვერ დაიკვეხნის; მთელს აბანოში მხოლოდ ორი ათეული ზეწარია და ამდენივე ბადია. ერთსა და იმავე დროს აბანოში 60-მდე სული იმყოფება, მაგრამ ხის ქოშების რიცხვი უკეთეს შემთხვევაში შვიდს არ აღემატება.

არც სანიტარულ-ჰიგიენური პირობებია დაცული. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ორ მექისეს ერთი საერთო ხალათი აქვთ, ხოლო მამაკაცთა განყოფილების მორიგეს ისიც არა. მას სახლიდან საკუთარი ხალათის მოტანა უხდება. აქ წესად შემოღებულია მამა-პაპის დროინდელი ძველი ქისით ყველა მობანავის მომსახურება. ინდივიდუალური ქისის უქონლობის გამო აბანო ორასი მანეთით დააჯარიმეს, მაგრამ მექისეები გასაოცარი და ოგანეზოვი მაინც თავისას განაგრძობენ, ხოლო აბანოს გამგეს გერასიმე ჯანელიძეს თურმე ორასიანების გადაგდება ურჩევნიათ, ვინემ მანეთიანი ქისების მომარაგება.

ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ აბანოში წყალი ხშირად სწყდება. თავპირგასაპნული მობანავენი საათობით ელიან, სანამ ნატახტარის წყალსადენისა და აბანოს მესვეურნი „ჯენტლმენურ შეთანხმებას" მიაღწევენ და თვალებგამომწვარ ხალხს სანატრელ წყალს მიაწვდიან.

უარესი მდგომარეობაა პირველ აბანოში. აქ ზუსტად გადმოულიათ ყველა ის ნაკლი, რითაც მეზობელმა აბანომ სახელი გაითქვა. ცუდ მუშაობას აღვირახსნილი უდარდელობაც დაუმატეს და აბანოში გამართული რვა შხაპი უმოქმედოდ დასტოვეს.

შხაპების უმოქმედობას იმით ხსნიან, რომ ორგოჯიანი მილები არა გვქონდა ცხელი წყლის გადმოსაცემადო. მობანავენი კი იმას სჩივიან, რომ ცხელი წყლის უქონლობის საბაბით ცივიც დაუკეტეს და პაპანაქება სიცხეში გაგრილების საშუალება მოუსპეს.

ხუთი თვეა რემონტისათვის ემზადებიან აბანოს ხელმძღვანელები, მაგრამ ჯერაც არ შესდგომიან. გააკეთეს 29 დოლაბი, მაგრამ არ შეღებეს და ჯერ კიდევ გამოუყენებლობამ ნესტიან ჰაერში დასკდომა და ჩამოშლა დაიწყეს.

იქნებ დროა, ლენინის რაიონის საბჭო ჩამორჩენილ აბანოების მესვეურთა „საქმიანობით" დაინტერესდეს!

ო. ეგაძე

ახალი საბანაო სადგური სოხუმში

პასუხისმგებელი რედაქტორი ზრ. მუშიშვილი

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 7. 9. 11	ხმოვანი ფილმი უკანასკნელი ჯვაროსნები
დამკვრელი საღამ. 6-30, საზაფხ. 9.	ხმოვანი ფილმი ფრთოსანი მდებარი
კომკავშირელი საღამ 6-30, საზაფხ. 9	ხმოვანი ფილმი ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება
რ. ლუქსემბურგის სახ. 7, 8.45. 11	ხმოვანი ფილმი ტომ ხოიერი
26 კომუნ. სახელობის საღამ. 6-30 საზაფხ. 9	ხმოვანი ფილმი პეპო
კომინტერნი 9. 11	ხმოვანი ფილმი უმზითვო
არსენა (კიროვის სახ. რაიონი) 6-30	ხმოვანი ფილმი მე-4 ესკადრონი
ახალი ამბები	სტალინის ტრასით

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა

გამოვიდა და იყიდება შემდეგი: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლაში" (კრებული), ფასი ყდით 12 მანეთი.

დაკვეთა და შეძენა საქპარტგამომცემლობის მაღაზიებში. 100

საქართველოს სსრ-ის ყველა ექიმთა და მოსახლეობის საყურადღებოდ

სსრ კავშირის ჯანსახკომის 1936 წ. 27 დეკემბრის № 129 ბრძანების შესაბამისად, ცხადდება საქართველოს სსრ-ის ექიმთა და მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ:

1) რეცეპტი წამლის გასაცემად დაწერილი უნდა იყოს მკაფიოდ, ნათლად, გარკვეულად ექიმის ან სამკურნალო დაწესებულების სათანადო ფორმატის ბლანკზე.

2) რეცეპტი დაწერილი უნდა იყოს მელნით ან ქიმიური ფანქრით, ხმარების წესის ზუსტად აღნიშვნით და ხელმოწერილი უნდა იყოს ექიმის სრული, შეუმოკლებელი გვარით.

3) ბლანკზე უნდა იყოს შტამპი ექიმის გვარის, თარიღის, ექიმის ან სამკურნალო დაწესებულების მისამართისა და ტელეფონის (თუ ასეთი მოიპოვება) №-ის ზუსტად აღნიშვნით.

4) ის წამლები, რომელთა შემადგენლობაშიაც შედის შხამიანი, ძლიერმომქმედი და ნარკოტიკული ნივთიერებები, აფთიაქებიდან გაიცემა მხოლოდ შემდეგი წესების დაცვით:

ა) ექიმი ვალდებულია აღნიშნოს რეცეპტში ავადმყოფის ასაკი, აგრეთვე სრულად-ხმარების წესი, სიხშირე და დოზა. ხმარების შემოკლებულად აღნიშვნა — „გარეგანი", „შინაგანი"—დაუშვებელია.

ბ) იმ რეცეპტების გამოწერისას, რომელთა შემადგენლობაშიაც შედის ნარკოტიკული ნივთიერებები: მორფიუმი, ამფიონი, ამფიონის ნაყენა, ამფიონის ექსტრაქტი, გეროინი, დიონინი და მათი მარილები, პანტოპონი, კოკაინი და მისი მარილები, ჰაშიში ნარევებად ან სუფთა სახით, აუცილებელია დაიასვას ექიმის პირადი ბეჭედი ან იმ დაწესებულების ბეჭედი, სადაც ექიმი მუშაობს.

სწორედ ასევე აუცილებელია გაფორმდეს იმ რეცეპტების განმეორებითი გამოწერა, რომლებიც ზემოთაღნიშნულ ნარკოტიკულ საშუალებებს შეიცავენ.

გ) იმ რეცეპტების გამოწერისას, რომელთა შემადგენლობაშიაც შედის შხამიანი ნივთიერებები ან ძლიერმომქმედი ნარკოტიკული საშუალებები, დიგიტალისი და მისი პრეპარატები, თუ ექიმს სურს, რომ ავადმყოფმა განმეორებით მიიღოს ხოლმე ისინი, მან რეცეპტს უნდა გაუკეთოს წარწერა: „განმეორდეს ხოლმე ხელმოუწერლად", ან აღნიშნოს რამდენჯერ განმეორდეს წამალი ხელმოუწერლად. იმ შემთხვევაში, თუ რეცეპტს ასეთი წარწერა არ ექნება, ეს წამლები არ გაიცემა ექიმის განმეორებული ხელმოწერის გარეშე.

5) იმ რეცეპტებს, რომლებშიაც დაცული არ იქნება ეს წესები, აგრეთვე ისეთებს, რომლებზეც გარკვევით არ იქნება მოწერილი ექიმის გვარი, აფთიაქები დასამზადებლად არ მიიღებენ.

საქ. სსრ ჯანმრთელობის სახ. კომისარი ბ. გელაშვილი.
საქ. ჯანსახკომის მთავარ საფთიაქო სამმართველოს უფროსი ბ. ბერია.
1165

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს რომ:

1. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე დაშვებული პირები ვალდებული არიან მიიღონ საგამოცდო ფურცლები ა/წ. 26 ივლისიდან 31 ივლისამდე (ჩათვლით). საგამოცდო ფურცლების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის კანცელარიაში (ფანჯარა № 1 და 2) ყოველდღე, საღამოს 6-დან 10 საათამდე (საჭიროა პასპორტის წარმოდგენა).

2. გამოცდებზე დაშვებული პირებისათვის პირველ აგვისტოს დილის 12 საათზე უნივერსიტეტის კლუბში (მე-3 სართული) შესდგება საინსტრუქციო კრება.

3. საგამოცდო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია გამოცხადდეს ა. წ. 31 ივლისს, დილის 12 საათამდე უნივერსიტეტის რექტორთან. კომისიების ყველა წევრისათვის 31 ივლისს, საღამოს 7 საათზე, შესდგება საინსტრუქციო თათბირი მცირე დარბაზში (მე-2 სართული). კომისიების თავმჯდომარეები ვალდებული არიან გამოცხადდნენ უნივერსიტეტში 29 ივლისს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი კ. ორაგველიძე.
50 2—2

ლენრაისაბჭოს სარემონტო ტრესტი

ამით აცხადებს, რომ მანდატი და რწმუნება, გაცემული ლენრაისაბჭოს სარემონტო ტრესტის მიერ ხე-ტყის დამამზადებელ შალვა აბესალომის-ძე კიკნაძეზე, ა/წ. 19 ივლისიდან გაუქმებულია.

ლენრაისაბჭოს სარემონტო ტრესტის დირექცია.
17283

ექიმი ა. დ. ქლენტი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8. 17278

სამედიცინო ინსტიტუტში

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ალკკ კომიტეტი აცხადებს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრება, თანახმად საქ. ალკკ ც. კ-ის დადგენილებისა, გაუქმებულია (იხ. 16 ივლისის „ახალგაზრდა კომუნისტი").

ხელახალი არჩევნებისათვის

სამედიცინო ინსტიტუტის ქ. ქ. ორგანიზაციის

საანგარიშო-საარჩევნო კრება

შესდგება ა/წ. 3 სექტემბერს, შინსახკომის საზამთრო კლუბში (ბესიკის ქ. № 4), საღამოს სრულ 6 საათზე.

დღის წესრიგი:

1) სამედიცინო ინსტიტუტის ალკკ კომიტეტის ანგარიში (მომხს. ამხ. ო. აბულაძე).

2) ალკკ კომიტეტის წევრთა და ორჯონიკიძის რაიონის კ/კ კონფერენციისათვის დელეგატთა არჩევნები.

ალკკ კომიტეტი აფრთხილებს აღნიშნული ორგანიზაციის ყველა წევრ-კანდიდატს—გამოცხადდნენ ყოველ მიზეზს გარეშე ალკკ კომიტეტში აღრიცხვაზე ასაყვანად ა. წ. 1-ლ სექტემბერს.

ალკკ კომიტეტის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი დ. იაშვილი.
1638

საქ. სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „რემონტოგბუვის" დასკვნითი ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის.

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან.
1	ძირითადი საშუალებანი	28.637
2	ნედლეული და მასალები	31.537
3	მზა ნაკეთობა	1.620
4	ფულადი საშუალებანი	10.947
5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	1.477
6	ხარჯები მომავ. ოპერაც. ანგ-ით	9.709
7	განყენებული საშუალებანი	12.712
	ბალანსი . . .	96.689

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან.
1	ფონდები	39.595
2	გრძელვადიანი კრედიტები	13.304
3	ანგარიშსწორებანი	34.851
4	დაგროვება	8.939
	ბალანსი . . .	96.689

1936 წ. დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	1.496
2.	დაგროვება საანგარიშო წლის	8.939
	ბალანსი . . .	10.435

1.	შემოსავალი რეალიზაციიდან	9.197
2.	შემოსავალი სხვადასხვა	1.238
	ბალანსი . . .	10.435

დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წ. 25 იანვარს ოქმი № 36.

გამგეობის თავმჯდომარე შ. ცანავა. მთ. ბუხჰალტერი ვ. სხირელი. 1617

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს —3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ბ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კომის ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ზ—8509